# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№23 (1533) 10–13 მარტი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდო სტალინ, ყრილობაზე შეგადარეს ტო კუდას, ერთი წუთით წამოდექი, დაინახავ კტო კუდა“...



პირველი მდივნის კაბინეტში შევვარდი... მაგიდაზე დამხობილ მჟავანაძეს ტელეფონი ეკავა და ბღაოდა — „Не стрелять...“

იმდროინდელი კაგებეს შეფი ალექსი ინაური კი ასე ამარტივებს საქმეს...

მეოთხე გვერდი

## ჩვენ არ გვინდა ასეთი თანადგომა, ჩვენ გვინდა თანატანჯვა...

დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

მეორე გვერდი



## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

მერვე გვერდი

## მე რომ ნიკოს „ქრთამი“ მოვთხოვე, ამის ისტორია ასეთია...

მესამე გვერდი

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

## დავით კლდიაშვილი

მეხუთე გვერდი

19 მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს

# პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, [illegible] თქვენ მოსკოვის დანიშნული ხართ. რა როლი ითამაშა რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების არჩევანში? შევარდნაძესაც ხომ წამოსცდა ხუმრობაგაშვებით: რად უნდა რუსეთს აქ აგენტი, როდესაც ვარდიკო ნადიბაიძე აქა ჰყავსო?

გიორგი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე:

## პარლამენტში ვარდიკო ნადიბაიძე დამტკიცების დროს რუსი გენერლის ფორმით მოვიდა...



— როდესაც საკადრო საკითხებზე ესაუბრობთ, მინდა წარსული გავიხსენოთ და ერთ მთავარ მომენტს მივაქციოთ ყურადღება. ადრე, საბჭოთა კავშირის დროს ამ საკითხს ცენტრალური ხელისუფლება, როგორც ჩვენ „მოფერებით" ვეძახით კრემლი, ორ უმაღლეს პოსტს აქცევდა ყურადღებას და მასზე აგებდა თავის პოლიტიკურ გავლენას მოკავშირე რესპუბლიკებში. ერთი იყო ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობა, რომელსაც დაუფარავად ნიშნავდა და მეორე უშიშროების სამსახურის უფროსი. დანარჩენ თანამდებობებთან დაკავშირებით ცენტრიდან ზეწოლის სახით ჩარევები არ ხდებოდა. იყო ჩაწყობები, პირადი ურთიერთობები და ა.შ. ის ორი პოსტი სავსებით საკმარისი იყო რესპუბლიკების პოლიტიკურად სამართავად.

თავდაცვის მინისტრის პოსტი მაშინ არ არსებობდა რესპუბლიკებში. ეს არის შედარებით ახალი და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ესეც მოექცა რუსეთის ინტერესების სფეროში. ვინაიდან, დღევანდელი სტატუს-ქვო რუსეთსა და საქართველოს შორის ითხოვს კიდევ დამატებითი ბერკეტების აუცილებლობას, რათა თავისი გავლენა დიდხანს შეინარჩუნოს ჩვენს ქვეყანაში. აქვე მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტაში რუსებმა გამოიყენეს ის კონფლიქტები, რომლებიც მისი ინსპირირებით მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე. რაც ნიშანდობლივია, მაქსიმალურად გამოიყენეს და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, რაც მთავარია.

როდესაც ბატონი ვარდიკოს კანდიდატურა გამოვიდა დასამტკიცებლად პარლამენტზე და მე მაშინაც პარლამენტის წევრი გახლდით, პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ ამაში არავითარი ბრალი თვით ვარდიკო ნადიბაიძეს არ მიუძღვის. მთელი პასუხისმგებლობა გადადის სახელმწიფოს მეთაურზე და მაშინდელ პარლამენტზე. რუსეთის გავლენა, ინტერესი და ზეწოლა კი არსებობდა, მაგრამ პასუხისმგებელი ამ დანიშვნისა იყო ის ხალხი, ვინც მას კენჭისყრით მხარი დაუჭირა. თან საინტერესოა, რომ, როგორც პიროვნება, ნადიბაიძე პოლიტიკურად ძალიან პასიურია, ამიტომ იმდენად,რამდენადაც ამ წლების განმავლობაში კარგად მოვახერხე მისი გაცნობა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მისი აქტიურობა ამ დანიშვნაში არანაირი არ იყო. მას ამას არავინაც არ ეკითხებოდა. უფრო მეტიც, გულუბრყვილობის დონეზე იყო მისი მხრიდან დანიშვნის პროცესის ჩატარება. თუნდაც ის, რომ პარლამენტში იგი რუსი გენერლის ფორმაში მოვიდა დამტკიცების დროს. მისი მხრიდან ეს კი იყო გულუბრყვილო ნაბიჯი, მაგრამ ქართული პარლამენტის მხრიდან ეს იყო ღირსებაზე უარის თქმა და თავმოყვარეობაზე უარის თქმა. უფრო მეტიც, როდესაც ჩვენი ფრაქცია ამ საკითხს აპროტესტებდა, ზოგიერთებმა გაკვირვებული საყვედურიც კი გვითხრეს: კაცი ზაკვოს უფროსის მოადგილეობას თავს ანებებს და საქართველოს თავდაცვის მინისტრად მოდის, თქვენ კიდევ პრეტენზიებს აცხადებთო? წარმოიდგინეთ რა ხდებოდა და რა ხდება. არ ვიცი რა დავარქვა ამას,სისულელე თუ თავისი, პარლამენტარის მდგომარეობის შეგუების რა ხარისხი? მოტივი მისი დანიშვნისა, ახსნა ხომ უნდა ყოფილიყო, თუ რატომ გამოდიოდა ეს კანდიდატურა, რომელიც არანაირად, არც პოლიტიკურად და არც შინაგანად არ იყო ქართველი. ახსნა იყო, რომ მას კარგი ურთიერთობები აქვს თავის ყოფილ ხელმძღვანელობასთან, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს; მჭიდრო პირადი ურთიერთობები დაეხმარება იმაში, რომ საქართველომ თავისი ქვოტებიდან მიიღოს მაქსიმალურად ბევრი იარაღი.რა თქმა უნდა, ეს თავის მოტყუება იყო. დღეს ვხედავთ, რომ რაიმე შედეგი ძნელად აღმოსაჩენია ამ მხრივაც კი ბ-ნი ვარდიკოს მოღვაწეობაში.

ვახტანგ რჩეულიშვილი პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარე:

## ვის შეეძლო დაეხასიათებინა ვარდიკო ნადიბაიძე საქართველოში, თუ არა ფეოდორ რეუტს...



– რასაკვირველია, ამ დანიშვნაში მოსკოვმა დიდი როლი ითამაშა. მოდით, ვთქვათ, ვინ მისცემდა შევარდნაძეს რეკომენდაციას და საიდან მიიღებდა რეკომენდაციას, რომ ეს პიროვნება დაენიშნა. ასეა, ნებისმიერი კადრი როდესაც მოგყავს, შენ უნდა მოითხოვო რეკომენდაცია: სად მუშაობდა, ვინ ახასიათებს, როგორ ახასიათებს და რა საქმიანი თვისებებით გამოირჩევა. ვის შეეძლო დაეხასიათებინა ვარდიკო ნადიბაიძე საქართველოში, თუ არა ფეოდორ რეუტს, ამიერკავკასიის ჯარების სარდალს, რომლის მოადგილეც ნადიბაიძე იყო. ფეოდორ რეუტი რომ რუსეთის სამხედრო მანქანის წარმომადგენელია და სამხედრო ელიტას წარმოადგენს, ამაში არავის ეჭვი არ ეპარება. ამიტომ რეკომენდაცია ნადიბაიძის დანიშვნაზე უდავოდ მოდის რუსეთიდან. აქ კითხვის ნიშანიც არ უნდა დაისვას, მაგრამ სხვა საკითხია, მისაღებია თუ არა ეს ფაქტი დამოუკიდებელ სახელმწიფოსათვის. აქ უნდა გავითვალისწინოთ რამოდენიმე მომენტი. არის კი ეს ფაქტი რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა დამოუკიდებელი ქვეყნის სამხედრო მშენებლობისათვის? არ არის, რადგან თავის დროზე ესტონელებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოიყვანეს წარმოშობით ესტონელი გენერალი, რომელიც ზუსტად ნადიბაიძეს ჰგავდა, ესტონურად ინჩი-ბინჩი არ იცოდა. ესტონელებს მაშინ თავისი პროფესიული კადრი არ ჰყავდათ და ასეთი გადაწყვეტილება ამიტომ მიიღეს[1]. მაშინ და დღესაც საქართველოს ჯარების ორიენტაცია რუსეთზეა. შეიარაღება და ყველაფერი მთლიანად რუსულია, ძირითადი სკოლა ოფიცრებისა არის რუსულ ჯარში გავლილი, ენა არის ჯარში რუსული და ამიტომ ნადიბაიძის დანიშვნა კანონზომიერი იყო. საკმაოდ უსიამოვნოა, რომ ნადიბაიძემ ქართული არ იცის და როდესაც ქართული, ეროვნული ჯარი ყალიბდება, სულაც არაა აუცილებელი, რომ ქართველმა ოფიცრებმა რუსულად ისაუბრონ ან გინდაც დოკუმენტაცია დგებოდეს რუსულად. ამიტომ სახელმწიფოს ინტერესებიდან და კონსტიტუციიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოხელემ უნდა იცოდეს და ხმარობდეს სახელმწიფო ენას. ამდენად, ვარდიკო ნადიბაიძე, რასაკვირველია, დროებითი ფიგურაა საქართველოს არმიაში. მოდით გავიხსენოთ ამ დანიშვნის პლიუსები და მინუსები. რა გაითვალისწინა მაშინ სახელმწიფოს მეთაურმა და პარლამენტმა? როგორც მახსოვს, პარლამენტმა დიდი უმრავლესობით დაუჭირა ვარდიკო ნადიბაიძეს მხარი. უმრავლესობა მხოლოდ 120 კაცი იყო, მას კი 150 კაცმა დაუჭირა მხარი. მხოლოდ ედპ-მ არ დაუჭირა მხარი, დანარჩენმა ყველამ. მაშინ თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე იყო და მას პროტესტი არ გამოუთქვამს. ამიტომ პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობა გაიზიარა ვარდიკოს დანიშვნით. ყველას ესმოდა რუსეთის ჯარებთან კოორდინირებული მოქმედება ტერიტორიული საკითხების გადასაწყვეტად. რუსეთის ჯართან დაპირისპირება, რომ საქართველოს არაფერს მოუტანდა, ყველას ესმოდა ასევე, რადგან ვარდიკო ამიერკავკასიის შტაბის უფროსის მოადგილე იყო მომარაგების დარგში, ესე იგი, ტექნიკას ფლობდა და არა მარტო საკვებს, საქართველოს ჯარისთვის კი სწორედ ეს იყო საჭირო. ამავე დროს იგი ის კაცია, რომელიც რუსეთის სამინისტროს ნებისმიერ კაბინეტში შედის და შეუძლია ლაპარაკი. რეალურად, ახლა რომ ვთქვათ, შეიარაღების რაღაც ნაწილი მოგვეცა, მაგრამ ეს საკმარისია თუ არა, არ ვიცი, არ ვფლობ ინფორმაციას. მაგრამ საქმეში ჩაუხედავი კაცის თვალით,რა თქმა უნდა,არაა საკმარისი, რადგან ჩვენ ამის რეალური შესაძლებლობა რომ გვქონოდა, უფრო მეტ ფხას გამოვიჩენდით. მე არ ვამბობ, ომს დავიწყებდით, მაგრამ როდესაც შენს მხარეზე არის რეალური ძალა, რომელსაც ძალუძს დღესვე გადაწყვიტოს საბრძოლო ამოცანა, ვთქვათ, ტერორისტების თუ სეპარატისტების ჯგუფის ალაგმვად, მაშინ მათ სხვა ტონით დაელაპარაკები. ვინაიდან ჩვენი ტონი საკმაოდ მორიდებულია, გასაგებია, რომ საქართველოს ეს ძალა დღეს არ გააჩნია. ამიტომ ვარდიკო ნადიბაიძის დანიშვნა ამ ადგილზე ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად შეიძლება პოლიტიკურ გულუბრყვილობად ჩაითვალოს. მეორეც, მხოლოდ ვარდიკოზე ჩვენი არმიის უუნარობის გადაბრალება არ შეიძლება. არმიის მშენებლობა ურთულესი საქმეა და სახელმწიფოები ათწლეულების მანძილზე წყვეტენ ამ პრობლემას. მაინც ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოს სამხედრო მინისტრი მაინც ქართული მენტალიტეტის მატარებელია, არ შეიძლება სხვანაირად იყოს, მაგრამ საკითხავია,რამდენად არის. რასაკვირველია,საქართველოს მომავალში უნდა ჰყავდეს მინისტრი, რომელსაც ქართულიც ეცოდინება და აღარ იქნება იმაზე ლაპარაკი, რომ იგი არის რუსეთის არმიის წარმომადგენელი.

1. რედაქციისაგან: ბატონო ვახტანგ, ამერიკიდან, ვთქვათ, ჯონ შალიკაშვილის ჩამოყვანასა და რეუტის მოადგილის მოყვანაში რაღაც სხვაობას უნდა ვხედავდეთ, არა?

გაგრძელება იქნება.

# ჩვენ არ გვინდა ასეთი თანადგომა, ჩვენ გვინდა თანატანჯვა...

## დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

მე-7 დღე, 8 მარტი, შაბათი

სანახავად მისულ დეპუტატებს მოშიმშილე დეპუტატებმა ზურგი აქციეს და დაცვას სთხოვეს, ესენი აქედან მოაშორეთო. გერმანე ფაცაციამ კი თქვა: „ჩვენ არ გვინდა ასეთი თანადგომა, ჩვენ გვინდა თანატანჯვა".

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ მიმართ მოშიმშილე დეპუტატებს აგრესია არა აქვთ, რადგან პროცესუალურად აფხაზეთიდან სამშვიდობო ჯარების გაყვანა ჯერ პარლამენტში უნდა გადაწყდეს. უშიშროების მინისტრს, შოთა კვირაიას, თბილად დახვდნენ. მანაც გაამხნევა მოშიმშილე დეპუტატები „ოღონდ პარლამენტმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს და მე, ჩემი ძალებით, 24 საათში გავწმენდ აფხაზეთს სეპარატისტებისგან".

მოშიმშილე დეპუტატები აღნიშნავენ, რომ თავს ახლა უკეთესად გრძნობენ, ვიდრე ჩვეულებრივი ცხოვრების დროს, თუმცა მალე იღლებიან.

მე-8 დღე, 9 მარტი, კვირა

დილიდანვე გერმანე ფაცაცია ხატის წინ სანთელს ანთებს და ლოცულობს. შემდეგ კი, მიუხედავად შიმშილობისა, ეწევა და ეწევა სიგარეტს. როგორც ამბობს, ოთხ კოლოფამდე ჩამოვიდა.

მომსვლელები ცოტანი არიან. ეს კვირადღის ბრალიცაა და შენობის დამცველებისაც, რომლებიც სხვადასხვა ხერხებით თავიდან იშორებენ მნახველებს.

დეპუტატებიდან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კოტე კოკოევია მათთან. იგი ბოლთას სცემს გერმანე ფაცაციასთან ერთად და ისეთი სახე აქვს, მგონი, ისიც შიმშილობას აპირებს.

მოშიმშილეებთან რევაზ მიშველაძე მოვიდა და შვილიშვილთან, შიოსთან ერთად. ბავშვს გარშემო შემოეხვივნენ დეპუტატები და ლექსის წაკითხვა სთხოვეს. შიომაც არ დააყოვნა და „ვეფხისტყაოსნის" შესავალი ჩაარაკრაკა ბაბუის და მისი მეგობრების სასიხარულოდ.

სახელდახელოდ შექმნილ პრეს-ცენტრში იბეჭდება ჩრდილო კავკასიელი ხალხებისათვის მიმართვა. ადრესატებიდან არც აფხაზი და ოსი ხალხებია გამორჩენილი, რომლებსაც მოშიმშილე დეპუტატები უხსნიან რუსეთის ძირგამომთხრელ პოლიტიკას საქართველოში და დარწმუნებით აცხადებენ, რომ იმპერიული ჯარების გასვლის შემდეგ ქართველები, აფხაზები და ოსები მონახავენ ურთიერთისაკენ გზას იმ კონფლიქტებიდან გამოსასვლელად, რაც რუსეთმა მათ თავზე მოახვია.

ადიღეელებს, ჩეჩნებს, ყაბარდო-ბალყარელებს, ჩერქეზებს, დაღესტნელებს და ინგუშებს კი კიდევ ერთხელ ახსენებენ ისტორიულ სიმართლეს და წერენ, რომ „ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია საქართველოს თავისუფლება კავკასიის თავისუფლების გარეშე და თავისუფალი კავკასია მთლიანი საქართველოს გარეშე". მოშიმშილე დეპუტატები სთხოვენ კავკასიის ხალხებს მხარი დაუჭირონ მათ, რათა რუსეთის სამხედრო ძალებმა დატოვონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები.

კვირას დეპუტატთა მონახულება გრძელდებოდა. მათ მოსანახულებლად ეწვივნენ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებისა და ამ საზოგადოებასთან ალიანსში მყოფი სხვა ორგანიზაციების ლიდერები.

მანანა იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მინისტრთა კაბინეტში დაფიქსირდა ათასზე მეტი დარღვევა

8 მარტს საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა ვახტანგ აბაშიძემ პრესკონფერენცია ჩაატარა. პრესკონფერენციის მთავარი თემა იყო 7 მარტს დახურულ კარს მიღმა გამართული ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია. როგორც ცნობილია, 1997 წლის 30 იანვარს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „კორუფციის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. სწორედ ეს თემა იყო უშიშროების საბჭოს სხდომის განხილვის საგანი, რომელზეც უშიშროების საბჭოს წევრებმა: ჯამლეთ ბაბილაშვილმა, კახა თარგამაძემ, თედო ნინიძემ, რევაზ შავიშვილმა, ნოდარ ჯავახიშვილმა და სხვა წევრებმა წარმოადგინეს ანტიკორუფციული პირველადი პროგრამები და სხდომას გააცნეს სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციები აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით.

პრესკონფერენციის დასაწყისში ვახტანგ აბაშიძემ აღნიშნა, რომ დასრულდა მინისტრთა კაბინეტის მუშაობის შემოწმება, სადაც დაფიქსირდა ათასზე მეტი დარღვევა, ხოლო ჯანდაცვის სისტემაში მედიკამენტების მითვისებისა და გაყიდვის შემთხვევები. პრესსამსახურის ხელმძღვანელი შეეხო თურქეთის კრედიტთან და საერთოდ უცხოურ ინვესტიციებში დაფიქსირებულ სხვადასხვა დარღვევის საკითხს ყურადღება, აგრეთვე განიხილდა კონტროლის პალატის მიერ ჩატარებულ რეიდზე, რის შედეგადაც „თელასის“ სისტემაში არასასურველი დარღვევებია აღრიცხული. ვახტანგ აბაშიძემ ისაუბრა პენსიონერების პრობლემებთან დაკავშირებით. მისივე თქმით, დღეისათვის საქართველოში მილიონ 200 ათასზე მეტი პენსიონერია. აღინიშნა, რომ შემოწმების შედეგად ერთ-ერთ სოფელში დაფიქსირდა 120 პენსიონერის გაყალბებული საბუთები, შეინიშნება ვალუტისა და თეთრის გაყალბების ფაქტებიც. სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ყოველკვირეული თათბირები გაიმართება აღნიშნული დარგისა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებთან. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი შეტანილია პარლამენტში და უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტის სხდომის საგანი გახდება. (იბერია)

## გუცერიევი თურმე კმაყოფილია

8 მარტს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რფ-ის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ გუცერიევმა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგელაიამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მიხეილ გუცერიევმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა ვიზიტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ შეხვედრებზე განხილულ იქნა ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის, რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები. შემუშავებული იქნა თანამშრომლობის კონკრეტული მექანიზმები. გუცერიევმა აღნიშნა, რომ იგი კმაყოფილია საქართველოში ვიზიტით. (იბერია)

## საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია აშშ-ში

8 მარტს საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის ზ.ჟვანიას ხელმძღვანელობით ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა. პროგრამის მიხედვით, დაგეგმილია შეხვედრები აშშ-ს კონგრესში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და თავდაცვის სამინისტროში. ზ.ჟვანია შეხვდება გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს. გაიმართება შეხვედრები საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აშშ-ს საქმიანი წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციათა და პრესის წარმომადგენლებთან. (იფრინდა)

# ოთარ მაღლაფერიძე:
# მე რომ ნიკოს „ქრთამი“ მოვთხოვე, ამის ისტორია ასეთია...

### პასუხის პასუხად, ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, მეტად აჩქარებულ ბატონ ნიკო ორველაშვილს

„მშვენიერება მხოლოდ სიმართლეშია“ – ამბობს უ.შექსპირი და მეც მწამს, რომ ეს ასეა.

მაშ ასე:

სიმართლე პირველი. „ჯუნიარ ეჩივმენტი“ („ახალგაზრდული მისწრაფება“) არამომგებიანი კორპორაციაა აშშ-ში და იგი ბიზნესის ორგანიზების სპეციალურ ფორმას მიეკუთვნება (იხ. „გამოყენებითი ეკონომიკის“ თარგმანი გვ. 60) მას 100000-ზე მეტი საქმიანი ფირმა, გაერთიანება და კერძო პირი აფინანსებს. თავისი არსებობის (1919 წლიდან) მანძილზე იგი ეკონომიკური ცოდნის მიღებაში დაეხმარა მსურველთ აშშ-ის 1000-ზე მეტ ქალაქში და უცხოეთში. 1995 წლის ნოემბრისათვის, როდესაც მე ამ ორგანიზაციის მიერ თბილისში (მეტეხში) ორგანიზებულ „გამოყენებითი ეკონომიკის“ ასათვისებელ სემინარში ვმონაწილეობდი, ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ეს ღონისძიება „ჯუნიარ ეჩივმენტ-ინტერნაციონალ“-ს უკვე გატარებული ჰქონდა ყოფილი სსრ კავშირის 15 რესპუბლიკიდან 12-ში. ისე რომ, ბატონი ნიკო ტყუილად იღებს თავის თავზე, რომ ამ საქმის ორგანიზაცია და ამერიკელების საქართველოში ჩამოყვანა მისი „სამწლიანი მეცადინეობის შედეგია“...

სიმართლე მეორე. რაც შეეხება საქართველოს განათლების მინისტრის ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის მიერ ჩემს გამოხსნას, ნაფტალინიდან ამოყვანასა და გამოყენებითი ეკონომიკის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას (1996 წლის 25 აპრილს), სწორი არ არის. საქმე თუ გამოხსნაზე მიდგება, თავად ნიკომ გამომხსნა და „ნაფტალინიდანაც“ მან ამომიყვანა (ამ დუხჭირი ცხოვრების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ნაფტალინიდან ამოღებული ნივთები გაცილებით უკეთ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ვიდრე მის გარეთ დარჩენილები, რომელთაც ჩრჩილი აფუჭებს)...

გამოყენებითი ეკონომიკის ასათვისებელ სემინარში მონაწილეობისათვის ჩემი კანდიდატურა ნიკოსთან შეთანხმებით შეარჩიეს იმ მოტივით, რომ მე ბევრ ახალგაზრდას ვიცნობ. თქვენ, ბატონო ნიკო, ვერაფრით ვერ უარყოფთ სასწავლო-მეთოდური საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე 20 კაცის თანდასწრებით თქმულს, რომ მე „იშვიათი გამონაკლისი“ ვარ.

ეს თქვენ აწერთ ხელს ამერიკელ დეილი ბაქსტერთან და იაგაპოვთან (ეს ის უცხოელებია, რომლებიც „სტალინის“ როგორც ყველაზე დიდი ეკონომისტის სახლ-მუზეუმში გავაქანე. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ) ერთად ჩემს სერტიფიკატს, სადაც შავით თეთრზე წერია: „საქართველოში ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდის „ჯუნიარ ეჩივმენტ-ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭომ და „ჯუნიარ ეჩივმენტ-ინტერნაციონალის“ წარმომადგენლებმა ეს სერტიფიკატი გადასცეს ოთარ მაღლაფერიძეს მასზედ, რომ მან მონაწილეობა მიიღო პროგრამა „გამოყენებითი“ ეკონომიკის ასათვისებელ სემინარში და აკმაყოფილებს „ჯუნიარ ეჩივმენტის“ კლასის პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“. ხელს აწერენ: დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნ.ორველაშვილი, „ჯუნიარ ეჩივმენტ-ინტერნაციონალის“ წარმომადგენელი დეილი ბაქსტერი და „ჯუნიარ ეჩივმენტის“ ექსპერტი ი.აგაპოვი. 21.XI. 1995 წ. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას ფოტოსურათიც ადასტურებს, როდესაც მეტეხში სერტიფიკატის გადმოცემის დროს ხელს მართმევთ, იქვე დგას ამერიკელი დეილი ბაქსტერიც. ასე რომ ჩემი „ნაფტალინიდან გამოხსნის“ „პირველცოდვაც“ თქვენ ჩაგიდენიათ, რისთვისაც ახლა განათლების მინისტრს ამუნათებთ...

სიმართლე მესამე. ნიკო ორველაშვილმა ზეწოლის ყოველგვარი მეთოდების გამოყენებით მაინც მიაღწია გაუმართავი თარგმანისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებას.

რაც შეეხება ტონს, იგი ასეთია: „მოგმართავთ თხოვნით, რომ ზემოხსენებულ სახელმძღვანელოს მიანიჭოთ შემდეგი სახის გრიფი: „დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ“. ჩვენი უბედურება იმაშია, რომ სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ არ შეისმინა ბატონ ნიკოს კარნახი – დირექტივა და გამოყენებითი ეკონომიკის სახელმძღვანელოს (თარგმანს და არა ორიგინალს) მიანიჭა დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფი, თანაც საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო-მეთოდური საბჭოების შესახებ დებულების დარღვევით. ამ დებულების მეორე ნაწილის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ „მეთოდსაბჭოები განიხილავენ და გამოსაცემად რეკომენდაციას აძლევენ ახალ, ორიგინალურ სახელმძღვანელოებს, მეთოდურ ნაშრომებსა და სხვა სახის დამხმარე ლიტერატურას, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად ან მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის დასახმარებლად“. როგორც ვხედავთ, გრიფი ენიჭება ორიგინალს და არა თარგმანს.

გრიფი კი ბატონ ნიკოს იმისათვის სჭირდება, რომ, და მან ეს ერთხელ საბჭოს სხდომაზეც განაცხადა, სხვაგვარად სახელმძღვანელო სკოლაში ვერ „შევა“ და ვერ „იმუშავებს“. ეს კი ეკონომისტების ენაზე რომ ვთქვათ, მონოპოლიის დაუფლება და კონკურენციიდან თავის დაღწევის მცდელობაა, თანაც უხეში, შეიძლება ითქვას ბოლშევიკური მეთოდებით. ჩვენ კი ვიცით, რომ ბიზნესი რისკთან დაკავშირებულ სამეწარმეო უნარს გულისხმობს. რბილად რომ ვთქვათ, ეს ძველებურად (საბჭოურად) იოლი გზით სიარულია აწ უკვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ბატონი ნიკოს ამ აჩქარებას ისიც ადასტურებს, რომ მას ევრაზიის ფონდის მიერ გამოყოფილი კრედიტი 23000 ლარის რაოდენობით აქვს დასაფარავი (იხ. გაზ. „ახალი თაობა“, 1996, 23.XI).

სიმართლე მეოთხე. მე, რომ ნიკოს გასამრჯელო „ქრთამი“ „მოვთხოვე“, ამისი ისტორია ასეთია: განათლების მინისტრის მოადგილის ბატონ თ.ტატიშვილის კაბინეტში 4–5 კაცის თანდასწრებით მე ნიკოს განვუცხადე – „მეთოდსაბჭოს წევრები ამ უფასო სამუშაოს (იგულისხმება თარგმანის ხელახალი წაკითხვა – გაუმჯობესება) აქამდე ჩემი პატივისცემით ასრულებდნენ და მომავალში ველარ შეასრულებენ, რადგან ფასიანი სამუშაოს შესასრულებლად დრო აღარ დარჩებათ“. ამ თქმით რომ ვერას გავხდი და მის გაყინულ სახეზე არავითარი თანაგრძნობა არ აისახა, მაშინ თავი დავიმცირე და ვთქვი: „იმის საშუალება მაინც მომეცით, რომ ჩემი მეუღლის საფლავს მივხედო“) ეს საუბარი ა/წლის 27 იანვარს იყო, ჩემი მეუღლე კი 2 იანვარს გარდაიცვალა და 9 იანვარს დავასაფლავეთ. მას ისე ეჩქარებოდა გრიფის მიღება, რომ სასწავლო-მეთოდური საბჭოს სხდომის ჩატარება სამინისტროს თანამშრომლის პირით 13 იანვარს მომთხოვა, თანაც ისე, რომ თვითონ სამძიმარზე მოსვლაც კი არ იკადრა.

ეს საუბარი იმანაც გამოიწვია, რომ მისი განცხადებით სახელმძღვანელოს თარგმანის თითო ეგზემპლიარი 100 დოლარი უჯდება და საბჭოს წევრთა წასაკითხავად 4 ეგზემპლარზე მეტს ვერ გადმოგვცემს, რადგან ამ ხარჯის, 400 დოლარის დაფარვა საკუთარი ჯიბიდან უხდება“.

სიმართლე მეხუთე. რაც შეეხება უცხოელების „სტალინის (როგორც ყველაზე დიდი ეკონომისტის) სახლ-მუზეუმში გაქანებას“ და „უკვე მესამე ჭიქაზე“ მისი სადღეგრძელოს შესმას, ეს არ მომხდარა იმ უბრალო მიზეზით, რომ პირველი და მეორე ჭიქა არ დამილევია, რადგან საჭესთან ღვინოს არ ვსვამ. ეს ყველამ იცის, ვინც მე მიცნობს.

ისე კი, ეს ისტორია ასე იყო. მანქანაში სულ ოთხნი ვიყავით: დეილი ბაქსტერი, ი.აგაპოვი, მე და დოც.ა.აბესაძე, რომელიც ჩემსავით სემინარის მონაწილე იყო, თანაც თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. ისე რომ, ბატონი ნიკო რომ წერს „ჩვენდა ბედად მეტად მიხვედრილი და გონებამახვილი თარჯიმანი გვყავდა, რომელიც ოთარის საუბრის შინაარს უკულმა უთარგმნიდა ამერიკელ სტუმარსო“, ასეთს ადგილი არ ჰქონია და აქედან გამომდინარე „ალერგია თარჯიმნებზე“ არ მაქვს, პირიქით, იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია დღესაც.

თავდაპირველად ჩვენს მიზანს შეადგენდა მცხეთის დათვალიერება და სასწრაფოდ უკან გამობრუნება, მაგრამ მცხეთას რომ მიუახლოვდით, მათ უარი თქვეს ქალაქში შესვლაზე იმ მოტივით, რომ იქ უკვე ორჯერ იყვნენ ნამყოფი, აღარ აინტერესებდათ და გორში წაყვანა გვთხოვეს. რა თქმა უნდა, სტუმრებს უარი ვერ ვუთხარით, მე და აბესაძემ ურთიერთშეგროვილი ფულით ავზი ბენზინით შევავსეთ და გორისაკენ გავემართეთ. სტალინის სახლ-მუზეუმში მათ მეგზურობას ბატონი აბესაძე უწევდა, მე კი გარეთ დავრჩი, რადგან მანქანა იყო მისახედი. კიდევ კარგი ჩემო ნიკო, რომ სტალინის დროს არ დაიბადე, თორემ რამდენ ქართველს დააბეზღებდი და გაისტუმრებდი იმ ქვეყანას...

**პროფესორი ოთარ მაღლაფერიძე**

## ამ მიწაზე მუდამ სისხლი დაიღვრება – იმუქრება რუსი

„თუ თქვენ ომი გსურთ და სიკვდილი გინდათ, კი ბატონო, სამშვიდობო ჯარები წავლენ. როგორც ამბობენ, ძალით სასურველი ვერ იქნები. მაგრამ როგორც კი რუსეთის სამშვიდობო ჯარები წავლენ, სხვები მოვლენ და ამ მიწაზე მუდამ სისხლი დაიღვრება“ – ასეთი პასუხი გასცა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სამშვიდობო ჯარების შემდგომი ბედით დაინტერესებული ჟურნალისტის შეკითხვას მ.გუცერიევმა. მისი აზრით, რუსეთის სამშვიდობო ჯარებმა მშვიდობა და სტაბილიზაცია მოუტანეს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს კავკასიას. „აფხაზეთის საკითხი ძალისმიერი მეთოდებით არ გადაიჭრება. რუსეთმა ვერ შესძლო ასეთი გზით ჩეჩნეთის პრობლემების გადაჭრა და ვერც თქვენ ვერ შეძლებთ. არ შეიძლება აფხაზეთის პრობლემის აღქმა კავკასიური სუფრის დონეზე. ამ პრობლემის მოგვარებაში ყველამ თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღოს“ – ავტორიტეტულად განაცხადა მ.გუცერიევმა. (იფრინდა)

## დარღვევები თელასის საქმიანობაში

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა კონტროლის პალატის თავმჯდომარე რეზო შავიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი დარღვევებია გამოვლენილი თელასის საქმიანობაში. კერძოდ, თითქოსდა 6 საათიანი გრაფიკის მიხედვით მოსახლეობას მიეწოდება ელ. ენერგიის 70% მაშინ, როდესაც ელ.ენერგიის 24 საათის მიწოდების შემთხვევაში, მოსახლეობის წილზე 20–30% მოდის.

## სოხუმში მიმდინარეობს ტყვეობაში მყოფ ბ.ფეტელავას საქმის ძიება

გალის რაიონის გამგებელი მურმან ჭედია და მისი მოადგილე ვუდიკ ჯანაშია შეხვდნენ ზუგდიდში განლაგებული გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა შტაბის ოპერატიული ჯგუფის წარმომადგენლებს დევიდ ჰიუზს და ქრეიგი სიმსონს. საუბარი შეეხო აფხაზთა მიერ გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან გატაცებულ და ამჟამად ტყვეობაში მყოფ 76 წლის ექიმის ბართლომე ფეტელავას საკითხს.

როგორც დევიდ ჰიუზმა განაცხადა, აფხაზურმა მხარემ გაეროს წარმომადგენლებს აცნობა, რომ ფეტელავა გადაყვანილია სოხუმში, სადაც მიმდინარეობს მისი საქმის ძიება. აფხაზური მხარის განცხადებით, ფეტელავას ბრალი ედება სხვადასხვა სახის დანაშაულებებში. მათივე განცხადებით, საქმის გამოკვლევა რამდენიმე დღეში დასრულდება და უდანაშაულობის შემთხვევაში, ფეტელავას გაანთავისუფლებენ.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, გალის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელმა ბარბარა შმიტჰაუზერმა განუცხადა, რომ, როგორც მას სოხუმიდან აცნობეს, ფეტელავას საკითხთან დაკავშირებით, აფხაზური მხარე 2–3 დღის განმავლობაში მიიღებს გადაწყვეტილებას. (იბერია)

# 1956 წლის 9 მარტი

41 წელი გავიდა 9 მარტის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. ქართველი ახალგაზრდების საყოველთაო აღტკინება და რწმენა იმისა, რომ მათ სტალინის სახელი დაიფარავდათ, კარგად ჩანს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ემანუილ აფხაიძის სიტყვებში, რომელიც მას მიტინგზე ასე დაუმთავრებია:

*დიდო სტალინ, ყრილობაზე*
*შეუვადარეს ტო კუდას,[1]*
*ერთი წუთით წამოდექი, დაინახავ*
*კტო კუდა" –*

სტალინი ვერც წამოდგა და ვერც თავისი ხსოვნით დაიფარა უამრავი თაყვანისმცემლის სიცოცხლე.

კარგად წერდა იმ დროს ერთ-ერთი ინდოელი ჟურნალისტი: „საბჭოთა კავშირში პირველი თავისუფალი დემონსტრაცია გაიმართა იმ ადამიანის სამშობლოში და იმ ადამიანის პატივსაცემად, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე ახშობდა დემონსტრაციებს". თუმცა, საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ 1956 წლის 9 მარტს დემონსტრანტებში ეროვნული გრძნობებიც ღვიოდა და ბევრი ახალგაზრდა სწორედ პატრიოტული მოტივით იყო დამუხტული.

ეს იგრძნო კრემლის დამსჯელმა აპარატმა და მოაწყო საშინელი კაცთა კვლა უდანაშაულო, უიარაღო ადამიანებისა. ხოლო დახოცილთა მშობლებს უბრძანა, უჩუმრად დაეკრძალათ ისინი...

„მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა 7-8 მარტს. ცეკას თანამშრომლების აბსოლუტურ უმრავლესობას, მათ შორის მეც – იგონებს მჟავანაძის ყოფილი თანაშემწე გ.მელაძე – ცენტრალური კომიტეტის შენობა არ დაგვიტოვებია და როდესაც 9 მარტს (ალბათ, 2 საათი იქნებოდა) სროლის ხმა მოგვესმა, პირველი მდივნის კაბინეტში შევვარდი... მაგიდაზე დამხობილ მჟავანაძეს ტელეფონი ეკავა და ბღაოდა – „Не стрелять..."

გვიანღა იყო თითზე კბენანი.

რამდენიმე თვის შემდეგ იგივე მჟავანაძის ხელმოწერით კრემლში ისეთი ინფორმაცია იგზავნება, რის მიხედვითაც ყველა ცოდვა უდანაშაულო მომიტინგეებს აქვთ მიწერილი. აი, ეს ინფორმაციაც, აი, ჩვენი თაობისთვის ცნობილი ეს სცენარიც:

„...მიღებული ცნობების მიხედვით პროვოკატორებმა გადაწყვიტეს ღამით (9 მარტს – შ.ნ.) დაეკავებინათ ფოსტა, ტელეგრაფი, რადიოცენტრი, გამომცემლობა, მთავრობის დაწესებულებები. ამგვარად, მტრულ ელემენტებს კონტრრევოლუციური გამოსვლებისა და ხელისუფლების დაპყრობისათვის ჰქონდათ მოქმედების კონკრეტული გეგმა. ისარგებლეს რა ბრბოს უკიდურესი აღგზნებითა და აფეთქებით, მათ დაიწყეს ჩანაფიქრის განხორციელება. ბრბოს დიდი მასები მონუმენტიდან გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ.

საგანგებო მდგომარეობამ გვაიძულა დაგვეწესებია სამხედრო პატრულირება და კავშირგაბმულობის სახლთან, გაზეთების რედაქციებთან, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს შენობებთან დაცვა დაგვეყენებინა.

კავშირგაბმულობის სახლთან შეიკრიბა დაახლოებით 2-3 ათასი კაცი. პროვოკატორებმა ადამიანთა დიდი ჯგუფი აიძულეს შეჭრილიყო კავშირგაბმულობის სახლში. შენობის ძირა სართულზე ჩაამსხვრიეს ფანჯრები, მოითხოვეს დაცვის მოხსნა, პისტოლეტიდან სროლით დაჭრეს ორი მებრძოლი, გაისმოდა ყვირილი: „მოვკლათ გენერალი გლადკოვი" (გენერალი შენობას იცავდა), რამდენიმე მებრძოლმა ჰაერში გამაფრთხილებელი სროლა მოახდინა. ერთ-ერთ მებრძოლს ავტომატი წაართვეს. მხოლოდ ამ მომენტში ოცეული იძულებული გახდა იარაღი გამოეყენებინა, რადგან ბრბოს შეჩერებისა და ალაგმვის სხვა გამოსავალი არ იყო...

ერთდროულად რამდენიმე ათასმა კაცმა დაიწყო მთავრობის სახლის ალყა, აგრეთვე სცადა გაჭრილიყო ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ. სპეციალურმა ნაწილებმა გაფანტა ისინი. ამავე დროს 300-მდე კაცი შეიჭრა თბილისის ორთქლმავალშემკეთებელი დეპოს ტერიტორიაზე და შეეცადა საგანგაშო სიგნალების მიცემას. ეს აქ მყოფმა მუშებმა არ დაუშვეს.

სროლის 30 წუთის შემდეგ 3 ათასამდე კაცმა მილიციის მუშაკთა განიარაღებისა და იქ არსებული იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით დაიწყეს ქალაქის მილიციის სამორიგეო შენობის გარემოცვა, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ კავშირგაბმულობის სახლის მიდამოებში განლაგებული სამხედრო ქვედანაყოფებისათვის. ბრბომ მილიციის მუშაკებს დაუწყო ცემა, ესროდნენ ქვებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მებრძოლთა ქვედანაყოფის დახმარებით ბრბო გაფანტეს. სხვა ჯგუფები, რომლებიც გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის დაკავებას ცდილობდნენ, სამხედრო ძალის გამოყენების შიშით, გაიფანტნენ.

10 მარტის მეორე ნახევრიდან თბილისში აღდგენილ იქნა წესრიგი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები აწარმოებენ გამოძიებას..."

იმდროინდელი კაგებეს შეფი ალექსი ინაური კი ასე ამარტივებს საქმეს: „იმ ტრაგიკულ საღამოს მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს კავშირების სახლის ხელში ჩაგდების ცდისას, ჯარისკაცისთვის დროშის ტარი მოუხვედრებია თვალში. ამ ჯარისკაცს, ისე, რომ მისთვის *ბრძანება არავის არ მიუცია, ავტომატის ჯერი გაუსროლია. ამის გამო ამტყდარა სროლა...*

მოკლედ, რუსი არასოდეს დამნაშავე არ არის, როცა კაცობრიობას ექვსივე კონტინენტზე მუსრს ავლებს, ან თუ დამნაშავეა, ყოველთვის უნებლიე...

ვბეჭდავთ 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა ფოტოებს.

პუბლიკაცია მომზადდა შოთა ნოზაძის წიგნიდან „ტრაგიკული 9 მარტი".

1. ტო კუდა – იაპონიის კომპარტიის ლიდერი


ვალერი ალავიძე


თეიმურაზ ბურდული


ნაზი ბენიძე


კოტე ბაჯიაშვილი


ოთარ გოგეჯიშვილი


რევაზ გოგია


უშანგი მერკვილიშვილი


ბორის ზარბარიანი


ჯიმშერ მამალაძე


თეიმურაზ თოფურია


თენგიზ შანიძე


შენგელი ნოზაძე


გურამ ტუნიევი


კლიმენტი რევაზიშვილი


რაულ ლოლუა


ანზორ ჩაკვეტაძე


შოთა ელიზბარაშვილი


ლევან ხანგულოვი


იუზა წერეთელი


გულიკო სვანი


ამბროსი ძოძრაშვილი


კიაზო ჭანტურიძე


მიხეილ მათიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

### ნოდარ გრიგალაშვილი

1908 წელს მწერალი ქუთაისში გადადის საცხოვრებლად, სადაც იწყება მისი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა, იწყება ის ცხოვრება, რისთვისაც იყო დაბადებული დავითი. არადა, მისი სიცოცხლის საუკეთესო წლები ყაზარმულმა ცხოვრებამ შეიწირა.

„1914 წელს სარაევოში დასცალეს დამბაჩა და ხელყვეს ავსტრიის კრონპრინცის, ფერდინანდის და მისი მეუღლის სიცოცხლე. დამბაჩის გავარდნალა აკლდა, რომ წამოშლილიყვნენ, ერთმანეთს დარეოდნენ კბილებამდე შეიარაღებული, წერას აყოლილი, გონებადაკარგული სახელმწიფოები“.

ომის ხანძარი რუსეთსაც გადმოსწვდა. კვლავ გაიხსენეს და სამხედრო გზას გაუყენეს დიდი იმპერიის ერთ პატარა გუბერნიაში მოღვაწე „საეჭვო ოფიცერი“ – დავით სამსონის ძე კლდიაშვილი.

ოსმალეთის ფრონტზე გაგზავნილი მწერალი თავის თანამოძმე ლაზებზე უფრო მეტს ფიქრობდა, რომელნიც საქართველოს ბედუკუღმართობამ „იქითა“ ბანაკში მოაქცია, ვიდრე მთავარსარდლობის უხეირო საომარ გეგმებზე. მას ლაზების გამოსარჩლებისათვის სამხედრო სასამართლო ელოდა, რადგან ლაზი რუსისათვის მტერი იყო, დავითი კი მასში სისხლი სისხლთაგანს და ხორცი – ხორცთაგანს ხედავდა. განგებამ ამჯერადაც დაინდო ოფიცერი – მწერალი, თუკი ამასაც დანდობა შეიძლება ერქვას. იგი დასნეულდა, მძიმედ გახდა ავად და სამუდამოდ გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. ახლა დროა, ცოტა რამ ვთქვათ დავითის პირადი, ოჯახური ცხოვრებისა და ხასიათის შესახებაც.

1892 წელს დავითმა ცოლად შეირთო შეძლებული აზნაურის პავლე მაჭავარიანის ქალიშვილი მარიამი. ამ სათნო და მშვენიერმა ქალმა უერთგულესად ზიდა ცხოვრების ტვირთი, უსაზღვროდ უყვარდა მეუღლე. იცოდა ამ ტანმორჩილი კაცის მკერდში რა სათნო და დიდი გული ძგერდა, იცოდა ქმრის ფასი და მის არცთუ იშვიათ ჭირვეუ-

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №19,20,21 22.

ლობას ღიმილით ხვდებოდა. დავითი თავისი სიალალით, მოსიყვარულე ბუნებით, გულწრფელობით, სიყვარულით, მიმნდობლობით, ჭირვეულობითაც დიდ ბავშვად რჩებოდა. მედიდურობა სრულიად უცხო იყო მისი ხასიათისთვის, დიდისა და პატარის გარჩევა არ იცოდა, ყველასთან ერთნაირად გულწრფელი და მოსიყვარულე იყო. თუ ვინმე არ მოუვიდოდა თვალში, იმასთან კი ერთი წუთით ვერ გაჩერებდით, ტყუილი და სიყალბე ჭირის დღესავით სძულდა და ვერც ყალბ ურთიერთობებს იტანდა. ბავშვივით გაიბუტებოდა და განზე გადგებოდა. დავითის ამ თვისებას, რომელიც მის მოხუცებულობაში უფრო შესამჩნევი გახდა, შთამბეჭდავად გვიხასიათებს მწერლის ვაჟი, თავადაც ცნობილი მწერალი სერგო კლდიაშვილი:

„ქუჩაში გამაცნეს წკიპად ჩაცმული მოქალაქე, ყულსახვევს ხშირად ქაჩავდა, ალბათ აწუხებდა.

– ხომ კარგად ბრძანდება ბატონი დავითი! არ მქონია შემთხვევა გამეცნო. წარმოდგენილი მაქვს რა საინტერესო იქნება მასთან საუბარი... ალბათ ენამახვილი კაცია. შეიძლება მოვიდე მასთან?

ერთ დღეს ეს მოქალაქე სრულიად მოულოდნელად დავითთან შემოვიდა. მამამ უცნობი თავაზიანად მიიღო. თითქოს კიდეც გაუხარდა. მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა.

რამდენ სიტყვას იტყოდა დავითი, მოქალაქე იმდენს გაიცინებდა. საცინარი არაფერი იყო, სტუმარი კი სიცილით ილრჩვებოდა.

უცბად მამა ადგა, ნერვიული ნაბიჯით კარისკენ წავიდა და მეორე ოთახში გავიდა. მოქალაქე ერთხანს დავითის დაბრუნების მოლოდინში იყო, იგონებდა დავითის ნათქვამს და იცინოდა. ვუყურებდი და მიკვირდა, რა აცინებდა ვერ გამეგო.

მამას ხუმრობა არასოდეს ჰყვარებია და არც ახლა უხუმრია...

– მოვკვდი კაცი, აღარ შემიძლია მეტი, – ბრიხინებდა მოქალაქე. როცა მეორე ოთახში გავედი, მამა წარბშეკრული დავინახე.

– ვინაა ის ჩიტირეკია? – მკითხება გაბრაზებული, – მე არ გამოვალ, უთხარი წავიდეს! ოციოდე წუთის უნაყოფო ლოდინის შემდეგ მოქალაქე წავიდა ჩემმიერ დარწმუნებული, რომ დავითი უეცრად წერის ხასიათზე მოვიდა და მისთვის ხელის შეშლა შეუძლებელია“.

დავითი ბავშვივით ალალი, მიმნდობი, გულუბრყვილო და გახსნილი იყოო, ვთქვით. აი, ერთი დამახასიათებელი დეტალი შვილის მოგონებიდან:

დავითი რუსთაველის პროსპექტზე მიდის, ჩქარი, მოკლე ნაბიჯით საქმეზე იჩქარის. შეხვდება ნაცნობს, გაჩერდება, ელაპარაკება. გულს ერთ წუთში გადაუშლის. ავიწყდება, რომ საქმეზე იჩქაროდა. ყოველი შეხვედრა უხარია.

– გაგვიანდება! – ფრთხილად ვახსენებ.

– მოვდივარ, მოვდივარ! – ისევ მობაკუნობს თავისი პატარა, სწრაფი ნაბიჯით,

– რა მშვენიერი კაცია, რა დიდებული კაცია! – იგონებს ახლად განშორებულს.

წუთის შემდეგ ასეთივე შეხვედრა მეორესთან, მეოთხესთან... დაუსრულებელი შეხვედრა, ლაპარაკი და ალტაცება. მამას უამრავი ნაცნობი ჰყავს. ზოგიერთის არც გვარი იცის, არც სახელი. ელაპარაკება, გულს გადაუშლის, გაშორდება და მერე მეკითხება:

– „ვინ იყო თუ იცი?“

ზემოთ მწერლის უბრალოებასაც გავუსვით ხაზი. უბრალო იყო, თავმდაბალი, იმდენად მოკრძალებული, რომ უკვე დამსახურებული, მხცოვანი, ყველასათვის საყვარელი მწერალი ვერაფრით ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ მისი იუბილეს გადახდა შეიძლებოდა. რა საჭიროა, ხალხს შევაწუხებ, ვის ვაინტერესებო, ამბობდა სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი პოზიორობის გარეშე ეს ბუნებით მადლცხებული უდიდესი მწერალი. არ ჰქონია ის შემაწუხებელი განცდა, რომ სხვაზე მეტი იყო და „მაღლა“, „ღირსეულად“ უნდა სჭეროდა თავი. „სადაც და რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო, სულ მცირე ხანში გაიჩენდა მეგობრებს. – წერს სერგო კლდიაშვილი – საავადმყოფოშიც იგივე მოხდა. პალატაში ავადმყოფები ბლომად იყვნენ. უმეტესობას არც მწერლობა აინტერესებდა, არც ის გაუგონია, რომ დავითი მწერალი იყო. ავადმყოფებში მრავალი კუტი ერია, ზოგი დამბლადაცემული, ან ნერვიული სისტემის აშლილობით დაავადებული. რამდენიმე დღეში მამამ ამათ შორისაც გაიჩინა მეგობრები. ერთ დღეს, როცა მის ოთახში შევედი, ასეთი სურათი დავინახე: დავითი ლოგინზე წამომჯდარა, გარშემო კი ავადმყოფები დამსხდარან. ზოგი სკამით მოუგორებიათ, ზოგი თვითონ მოფორთხებულა. სხედან დავითის საწოლის გარშემო და უსმენენ. დავითი მათ მწერლობაზე ელაპარაკება.

1918 წლის შემდეგ დავითი და მარიამი სიმონეთში ცხოვრობდნენ. დავითის მამა, ღრმად მოხუცებული სამსონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, შვილსა და რძალს არ იკარებდა.

– მე ჩემს ნებაზე მინდა ცხოვრება! – ამბობდა იგი,– ეს ქალაქელები კი – ახალ წესს შემოიღებენ აქ.

გაგრძელება იქნება

---

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**თავმჯდომარე** – არის წინადადება შეწყდეს კამათი

**ნ.კერესელიძე** – რადგანაც მე არ მომცეს სიტყვა, მე ვაცხადებ, რომ ზვიად გამსახურდია ჩვენი გარიცხული არ არის კავშირიდან და რადგან მე არ ვარ პარტიის წევრი და არა მაქვს მე არავითარი სიტყვის უფლება და არც მოველი, რომ იქნება კიდევ სხვა კრება, რომელიც მოისმენს ჩემს აზრს, მე ჩემის განცხადებით ვტოვებ მწერალთა კავშირის წიგნაკს (ტოვებს განცხადებას).

**თავმჯდომარე** – შემოვიდა წინადადება, შეწყდეს კამათი.

**ნ.ნულეისკირი** – არის წინადადება შეწყდეს კამათი და გადავიდეთ იმ კენჭისყრაზე.

**ვ.ურჯუმელაშვილი** – ეს არის დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ არასწორად ხდება ინფორმაციების ბეჭდვა. ეს კრება ძალიან დაინტერესებულია იცოდეს ხალხმა, რა აზრის არის ქართული მწერლობა ამ საკითხზე და კენჭისყრის შედეგები დაიბეჭდოს პრესაში, გაიგოს ხალხმა. (დარბაზში ხმაურია)

**თავმჯდომარე** – მეგობრებო, ჩვენ ვწყვეტთ კამათს და ბატონ გრიგოლს უნდა რამდენიმე სიტყვა სთქვას. ხოლო კენჭისყრა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მწერალთა კავშირის წევრების გარდა ყველა წავა (ხმა – წავალთ ყველანი, რა თქმა

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №4-22.

უნდა!), მეგობრებო, გ.ასათიანს აქვს სიტყვა.

**გ.ასათიანი** – დღეს ამ ტრიბუნაზე ასვლა ძალიან ძნელია, საპასუხისმგებლოა. სახელმწიფო, საერო საკითხები წყდება, ამიტომ მე უნდა გულწრფელად გამოგიცხადოთ, რომ მიჭირს საუბარი, ჩვენ არ ვართ მიჩვეული ასეთ გამოსვლებს, ამიტომ გთხოვთ მომისმინოთ, ეგებ სიჩუმე იყოს! სამწუხაროდ, დაწერილი არა მაქვს ტექსტი.

შეიძლება იმის გამოც, რომ იმ დღის შემდეგ, რაც საქართველოს კონსტიტუცია გამოქვეყნდა, თითქმის ყველა უკლებლივ ვფიქრობთ ამ ტექსტზე და დაყოვნება ახლა აღარ შეიძლება. უფრო მეტიც, მე ვფიქრობ დავაგვიანეთ შეკრება, ან ჩვენი ბრალი შეიძლება არ იყოს იმიტომ, რომ ცოტა დრო იყო.

აქ ყოველ სიტყვას, რასაც ჩვენ ვიტყვით, სჭირდება აწონ-დაწონა მისხალ-მისხალ იმიტომ, რომ ჩვენთვის მთავარი არის და იქნება შედეგები ჩვენი დღევანდელი კრებისა. ამიტომ მხოლოდ ერთ პუნქტს შევეხები, 75-ე პუნქტს.

უნდა მოგახსენოთ, ყოველ მოვლენას, გარდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობისა, აქვს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, კერძოდ, ერის ფსიქოლოგიისათვის.

ჩემთვის, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქისათვის, არ იყო გასაკვირი, როდესაც 75-ე პუნქტის ბოლოს წავიკითხე სტრიქონები, რომ საქართველოს სსრ უზრუნველყოფს თავისუფალ ხმარებას რუსული და სხვა ენებისა, არ იყო გასაკვირი და მე უფრო ის გამიკვირდა, რუსულის გარდა რატომ არა სწერია აფხაზური, ოსური და შემდეგ სხვა ენები. ახლა, ამ შემთხვევაში, ჩვენი, ქართველების როლი ცოტა იცვლება და ჩვენი აფხაზი და ოსი თანამებრძოლები დგანან იმ როლში, რომელსაც ჩვენ განვიცდით. მე ვფიქრობ, რომ ვინაიდან აფხაზები და ოსები შემოდიან ჩვენთან, ჩვენ მათზედაც უნდა ვიფიქროთ. ჩვენ შემაძრწუნებელი ამბები მოგვდის აფხაზეთიდან. პირადად მე, როდესაც მიმიპატიჟეს, ვერ წავედი იმიტომ, რომ გამიჭირდა თვალში შემეხედა ჩემი მეგობრებისთვის. მაგრამ მე ის მინდა ვიფიქრო, რომ ამაში ცოტა ქართველებსაც მიგვიძღვის ბრალი. ჩვენი მხრივაც დაშვებული იქნა საბედისწერო შეცდომები.

ისე, როგორც ქართულ ენაზე რომ სწერია კონსტიტუციაში – რესპუბლიკა ახორციელებს მზრუნველობას იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს ქართული ენა, ასევე ჩვენ სისხლხორცეულად დაინტერესებული ვართ აფხაზური ენითაც, აფხაზური ის თვითშეგნებაც ყოველ მხრივ განვითარდეს და იმ სწორი გზით, რომელსაც მოველით და ვიცნობთ მათ, როგორც ჩვენს ძმებს (დარბაზში საერთო ხმაურია), იგივე ეხება ოსურ ენასაც.

ასეთია ჩემი რწმენა, რომლის გამო შეიძლება ვერ დავიმსახურე ალფრთოვანება. ამ რწმენამდე მე მიმიყვანა არა მხოლოდ უკანასკნელი დღის გამოცდილებამ, უკანასკნელი დღეების ფიქრმა, არამედ მთელი ჩემი ცხოვრების გამოცდილებამ.

რაც შეეხება 75-ე პუნქტის დასაწყისს და იმ მდგომარეობას,რომ ეს პუნქტი ცვლის ადრე არსებული კონსტიტუციის პუნქტს, რასაც ჩვენ ყველანი შევეჩვიეთ და 42 წელია ვთვლიდი, რომ ეს ბუნებრივია და სწორი მდგომარეობაა.

როდესაც ჩვენ წავიკითხეთ 75-ე პუნქტი, ამ დარბაზში არიან ამხანაგები, რომელთაც მოინდომეს ამ პუნქტში ცვლილების შეტანა და იმ კომისიის წარმომადგენლებმა ერთგვარი დაეჭვება გამოთქვეს მისი სისწორის თვალსაზრისით, თუნდაც სტილისტურად გავასწოროთ. ამის შემდეგ ითქვა, „ხმარების“ მაგივრად ითქვას „საქმეთა წარმოება“, უფლებამოსილება. დაახლოებით ასე იყო: „საქართველოს სსრ უზრუნველყოფს ქართული ენის შეუზღუდველ უფლებამოსილებას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და საზოგადოებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა დაწესებულებებში“ და ა.შ. მაგრამ დღევანდელმა გამოსვლებმა და აგრეთვე იმ გამოსვლებმა, რომელთა ტექსტები გადმომცეს, მე მიმიყვანა ერთადერთ დასკვნამდე, რომ ყველა ამ ფორმულას შინაარსობრივად, ენის თვალსაზრისით მაინც სჯობია ის, რომელიც არსებობდა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა (ტაში).

**თავმჯდომარე** – მეგობრებო, კრება...

**ვ.ურჯუმელაშვილი** – ერთი შეკითხვა მაქვს (აღარ აცდის თავმჯდომარეს)...

**გრ.აბაშიძე** – ვანო, მოითმინე! (ხმაური).

**თავმჯდომარე** – მეგობრებო, ეს გახლავთ მწერალთა კავშირის კრება, კრებამ უნდა მიიღოს რეზოლუცია. ძალიან გთხოვთ, ვინც არ ბრძანდებით მწერალთა კავშირის წევრები, მიბრძანდით და მოგვეცით საშუალება წარვმართოთ მუშაობა.

**პ.რატიანი** – კამათი შევწყვიტოთ და თუ ამხანაგებს აქვთ წინადადებები, ვათქმევინოთ.

**ი.ორჯონიკიძე** – მე ძალიან გთხოვთ – ახალგაზრდები არიან იქ და მათი აზრიც მოვისმინოთ. (არაწევრები სტოვებენ დარბაზს).

**თავმჯდომარე** – მეგობრებო, სიტყვას ვაძლევ ბატონ გრ.აბაშიძეს.

(გაგრძელება იქნება)

სულის ზრდა

# დიდი წმიდა მარხვა

## მარხვის დაწყება

დღეს იწყება დიდი წმიდა მარხვა. ეს მარხვა ყველა სხვა მარხვისაგან, თავისი მნიშვნელობით, სიმკაცრით თუ ზეიმურობით გამოირჩევა. ამ მარხვით ჩვენ ვემზადებით ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულის – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად. მარხვის სწორად წარმართვა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაატარებს ქრისტიანი დიდმარხვის პირველ კვირას.

ძველი ქრისტიანები დიდმარხვაში და განსაკუთრებით პირველ შვიდეულში, მეტად მკაცრად მარხულობდნენ. მთელ დღეს ტაძარში ატარებდნენ და ჭამდნენ უზეთო საჭმელს, დღეში ერთხელ, მზის ჩასვლის შემდეგ.

წინაპრების მიბაძვის სურვილი ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს, მაგრამ მეორე მხრივ, არც ზომიერების გრძნობამ უნდა გვიღალატოს. ძველი ქრისტიანების მარხვის ასეთი სიმკაცრე მათ შინაგან სულიერ მდგომარეობას შეესაბამებოდა. ჩვენ კი, არათუ პირველ ქრისტიანებზე, არამედ ასი წლის წინ მცხოვრებ ჩვენს პაპებზეც კი ბევრად უძლურნი ვართ; მათი ოდენ ზედაპირული მიბაძვა ჩვენს შინაგან და გარეგან მდგომარეობებს შორის დარღვევას იწვევს, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

ასე რომ, თუ ერთი მხრივ მარხვისადმი გულგრილობა დაუშვებელია, მეორე მხრივ ზედმეტმა სიმკაცრემ სხვა, ვინ იცის, იქნებ უფრო მძიმე განსაცდელში ჩაგვაგდოს. ამიტომ ქრისტიანმა ზომიერად უნდა ილოცოს, ზომიერად უნდა იმარხულოს და თუ ცხოვრების წესის გამკაცრება სურს, მოძღვარს უნდა დაეკითხოს.

ეკლესიური წესით მცხოვრებთაგან ვისაც შეუძლია, დიდმარხვის პირველ კვირაში ჭამს დღეში ორჯერ უზეთო საჭმელს, ხოლო ვისაც ეს უჭირს – ზეთიანს და დღეში სამჯერ; თუ შესძლებს, ასეთმა ადამიანმა სასურველია ოთხშაბათს და პარასკევს მაინც შეიკავოს თავი ზეთისაგან.

რაც შეეხება ლოცვას, დილითა და საღამოს დამატებით ვკითხულობთ წმ.ეფრემ ასურის სინანულის მოკლე სავედრებელს „უფალო და მეუფეო...“ („ლოცვანი“, გვ. 19) ოთხი მეტანიით.

ჩვენი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II რჩევითა და ლოცვა-კურთხევით ვინც მარხვას ინახავს, სასურველია მარხვის პერიოდში ყოველ კვირას ეზიაროს. ამისთვის საჭიროა ვდაესწროთ ლოცვას შაბათ საღამოს და ვთქვათ აღსარება, წავიკითხოთ ზიარების ლოცვები და კვირის წირვაზე უზმოდ მივიდეთ.

პირველი ოთხი შაბათი დიდმარხვისა, აგრეთვე „ხორციელის“ შაბათი ანუ „კორკოტობა“ არის მიცვალებულთა მოხსენიების დღეები; ეკლესიაში გაშლილია მაგიდები საკურთხისათვის და წირვის შემდეგ სრულდება საზოგადო პანაშვიდი.

უკანასკნელი დღე მკაცრი მარხვისა პირველ კვირაში არის პარასკევი. შაბათს და კვირას მკაცრი მარხვა აღარ შეიძლება. ამ ორ დღეს დასაშვებია ზეთისა და ცოტაოდენი ღვინის მიღებაც.

თამარ ციხისელი

პოლემიკა

# ...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!

ამა წლის 20–23 იანვრის გაზეთ „საქართველოში“ (№5/1515) გამოქვეყნდა ისტორიკოს იაკობ *ახუაშვილის* პოლემიკური წერილი „რუსთაველი, გიორგი სააკაძე, სტალინი, ნაპოლეონი, მიქელანჯელო და სხვანი და სხვანი, სომეხი მეცნიერის აზრით, სომხები ყოფილან“... სტატიის ქვესათაური კი გვამცნობს: „ქვათა ღაღადის“ გადასახედიდან დანახულიო. წერილის შთამბეჭდავმა სათაურმა და, მით უფრო, ქვესათაურმა შეუძლებელია მის წამკითხველს ცნობისმოყვარეობა არ აღუძრას, გონება არ დააძაბვინოს და საპასუხო წერილის მოლოდინის გრძნობა არ გაუჩინოს.

ვინ არის მხილების ობიექტი? რას აღუშფოთებია მამხილებელი სტატიის ავტორი? საგანგებო ზარების შემოკვრისაკენ მომწოდებელი სტატიის მთელი პათოსი მიმართულია სომეხი მეცნიერების პროფ.პარუირ *მურადიანისა* და ვინმე *ს.მამულოვის* სრულიად ტენდენციური და მიუღებელი ანტიქართული მოღვაწეობის სააშკარაოზე გამოსატანად. როგორც ირკვევა, ქართველი ხალხის ძველ მძაგებელ მონაწილეთა, იეზოვ-არწრუნ-პატკანოვთა და მათ მსგავსთა უკადრი საქმის თანამედროვე გამგრძელებელს ს.მამულოვს 1993 წელს მოსკოვში გამოუცია ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნი, რომელიც თბილისში მცხოვრებ სომხობას, თურმე, „ხელიხელსაგოგმანებ მარგალიტად“ გაუხდია. ს.მურადიანს ქართველთა შეურაცხმყოფელი თავისი წიგნისათვის ერთობ პიკანტური სათაური მიუცია: „Удивительный народ из страны чудес (Армения и Армяне - уникальный феномен цивилизованного мира)“, თუმცა, კაცმა რომ თქვას, წიგნის სათაურიდანვე ჩანს, რომ მას დიდი „ავალა“ და გასავალი მხოლოდ ნაკლებწიგნიერ, უბირ სომხურ მოსახლეობაში შეიძლება ჰქონდეს, განათლებულმა და გაცნობიერებულმა სომეხმა კაცმა კი, არა გვგონია, სერიოზულ და თავმოსაწონებელ ფაქტად ჩათვალოს ესოდენ ბრჭყვიალა და საცირკო ტრიუკს დამსგავსებული სათაურის მქონე წიგნი, რომელსაც ნებისმიერი ცივილიზებული ერი საკუთარი ქვეყნის თავმოჭრად და გვარიან სირცხვილად მიითვლიდა. აბა, ერთი წუთით დაფიქრდეთ, განა რომელიმე ფრანგი, ინგლისელი, ესპანელი, იაპონელი, ჩინელი, გერმანელი... ინტელიგენტი იფიქრებს და, მით უმეტეს, წიგნად გამოაქვეყნებს, – ჩემი ერი საოცრებათა ქვეყნის საოცარი ხალხია, ხოლო მეც და ჩემი ქვეყანაც ცივილიზებული სამყაროს უნიკალური ფენომენები ვართო? ამ აბდაუბდის თქმას ჭეშმარიტი ინტელიგენტი (მეცნიერი, მწერალი...), თუ მას თავისი ხალხი და მშობელი ქვეყანა მართლა უყვარს და აფასებს, უფრთხილდება ერის სახელს და ავტორიტეტს, ასეთ რამეს გულშიაც არ გაივლებს, არამცთუ საქვეყნოდ გააცხადებს. წიგნიერი კაცი არასოდეს ყვირის, ნახეთ, რა წიგნიერი ვარ, ჩემისთანა განათლებულს მეორეს სად და ვის ნახავთო! წიგნიერი, კულტურული ადამიანი ყოველთვის იმას ჩივის, ღმერთო, ეს რამდენი რამ მაქვს წასაკითხი და შესამეცნებელიო! რაც შეეხება მთლიანად ხალხის კულტურას და მსოფლიო სახელს, თუ ასეთი რამ ერს მართლა დაუმსახურებია, ამას გარედან მაყურებელი თვალი უკეთ შეაფასებს, ვიდრე საკუთარი. ასე რომ, ს.მამულოვის ეს საოცარსათაურიანი წიგნი მის ავტორსაც და ამ წიგნის გულში ჩამხუტებლებსაც, სიკეთისა და სახელის ნაცვლად, თავის მოჭრასა და იმედის გაცრუებას მოუტანს, მეტს არაფერს!

თავისთავად, რა თქმა უნდა, დიდზე დიდი დანაშაულია, როცა ესა თუ ის პირი, მეცნიერია თუ მწერალი, ეკლესიის მსახურია ის თუ რიგითი მოქალაქე, წინაამდეგ მშობელი ხალხის საერთო სულისკვეთებისა და მრწამსისა, ჩირქს სცხებს თავის მეზობელ ხალხს, უსინდისოდ ცდილობს ამ ხალხის სიკეთის, ნიჭიერების სხვათა თვალში შეგინება-დამცირებას და აბუჩად აგდებას. მაგრამ არანაკლებ სავალალო და თავშისაცემია ის, რომ ტყუილუბრალოდ, უმიზეზოდ შეგინებულ ხალხს, თურმე, არ მოგვეძევება ისეთი განათლებული და ობიექტური ხმის ამომღები სპეციალისტი, რომელიც იმ მონაცილეთ საკადრის პასუხს გასცემდა და მეორედ ხმის ამოღების სურვილს დაუკარგავდა! ყველაფერ ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ბატონ იაკობ ახუაშვილის საპასუხო წერილი აშკარად მოკლებულია პუბლიცისტურ სიმწვავესიმახვილეს. მასში მკითხველი ვერ დაინახავს უმართებულო თავდასხმების გამაბათილებელ არგუმენტებს. რაც სწორედ ჩვენს საწინააღმდეგოდ შეეძლება გამოიყენონ სომეხთა „მეცნიერებმა“. მაგალითად, იგი სომხებისათვის დამახასიათებელ პურიზმს მიაწერს იმას, რომ საკუთარი სახელი *იაკობი* სომხურად აკოფაა, *გიორგი* – გეურქა, *მოსე* – მოვსესა და სხვ. ამის მიხედვითვეაო ნაწარმოები სომხური გვარები: *აკოპიანი, აკოფჯანოვი, გუკასიანი, გეურქოვი, მოვსესოვი* და მისთ. მოდი და ამის წამკითხველი კაცი ნუ გაოცდები! ის, რაც სომხური ენის ზოგადი ნორმაა, რაც ამ ენის შინაგანი კანონზომიერებაა, ბატონ ახუაშვილის მტკიცებით, სომხების პურისტული ტენდენციებით ზედმეტად გატაცება ყოფილა! საკუთარ (პიროვნულ) სახელთა ამგვარი ტრანსფორმაცია მსოფლიოს თითქმის ყველა ენისთვის არის ნიშანდობლივი. მაშ ქართველებიც დიდი პურისტები ვყოფილვართ (*პურიზმი* ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს: ამა თუ იმ ენაში უცხო სიტყვების შემოღწევის წინააღმდეგ ბრძოლას, ხანდახან ყოველგვარი სესხების გაუმართლებელ უარყოფასაც კი), ძველი ბერძნული, ებრაული, არაბული თუ სპარსული წარმოშობის სახელები ჩვენი დედაენის ბუნებას რომ დავუმორჩილეთ და *ტიმოთე კიმოთედ*, ლათინური *აკვილა* – *აკვირინე, ეკვირინედ*, ებრაული *ელისაბედი საბედა, საბედო, საბდიად* რომ ვაქციეთ! განა ასევე თავისებურად არ ეპყრობიან ევროპელები მათ ენაში შესულ სხვადასხვა სახელებს? იგივე *იოსები* ევროპულ და სლავურ ენებში რომ ხან *იოსიფ-ად*, ხან *ოსიპ-ად*, ხან *ჟოზეფ-ად*, ხან *ჯუზეპე-დ*, *გიორგი* – *ჟორჟ-ად, ჯორჯად, ხორხე-დ; კარლოს-ი* – *კარლ-ად, კარელ-ად, ჩარლ-ად*... რომ გამოითქმის და იწერება, ესაც ევროპელთა კაპრიზი და პურისტული თავგამოდება ყოფილა!

ბატონო იაკობ, ასევე მცდარია თქვენი მოსაზრება, რომ გვარი *გუკასიანი* გიორგისაგან არის წარმომდგარიო. *გუკასიანი* რომ *ლუკა* სახელისაგან მომდინარეობს და არა გიორგისაგან, ამას ნუთუ მტკიცება ჭირდება?

მე, როგორც მკითხველი, ასევე ვერ დაგეთანხმებით, ზოგიერთ გვარს (*იარალოვი, ორბელი, მურადელი...*) ასეთი თავგამოდებით, ქართული წარმომავლობის ერთეულებად რომ აცხადებთ! *იარალოვ-მურადელ-ჩილინგარაშვილისა* რა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო იაკობ, მაგრამ გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე *იოსებ აბგარის ძე ორბელი* რომ ტომ-თესლით სომეხი იყო, ამისი უარყოფა ნამდვილად არ შეიძლება! ჩემს ნათქვამს თუ არ ენდობით, პროფ.იოსებ *მეგრელიძის* სპეციალური გამოკვლევა „იოსებ ორბელი“ მაინც გადაშალეთ და იქ ამ თვალსაზრისით სხვასაც არაერთ საგულისხმო ფაქტს ნახავთ.

ასე რომ, მურადიანებისთანა ჩიტირეკია მეცნიერები მართლაც კურიოზულ „გამოკვლევებს“ წერენ, მაგრამ მათი პასუხი იმდენად ობიექტურად უნდა იწერებოდეს, სადაო არც მტერს ჰქონდეს ჩვენთან და არც მოდავეს.

გურამ ბედოშვილი

### გამოვიდა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები და მისაღები გამოცდების პროგრამები 1997 წლისათვის
### გთავაზობთ ქართული ლიტერატურის პროგრამას.

#### ზოგადი მითითებანი

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს ქართული მწერლობის (ძველი, ახალი, უახლესი) ქვემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა შინაარსის, თემის, სახეებისა და მხატვრულ თავისებურებათა საფუძვლიანი ცოდნა. მან უნდა შეძლოს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ ფასეულობათა გარკვევა, მწერლის ეროვნული, საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პოზიციების გამოკვეთა, ცალკეულ თხზულებასა და ისტორიულ სინამდვილეს შორის სათანადო პარალელის გავლება.

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს ქართული მწერლობის დასაბამი და განვითარების საფეხურები, უნდა შეძლოს ქრისტიანული სარწმუნოების როლის განსაზღვრა ქართული ეთნოსის განმტკიცებასა და ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში.

ლიტერატურის თეორიის ცოდნა მოწმდება მხატვრული ნაწარმოების გარჩევისას.

#### პროგრამა

1. იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“;
2. იოვანე საბანისძე – „აბო ტფილელის მარტვილობა“;
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“;
4. შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“;
5. სულხან-საბა ორბელიანი – „სიბრძნე სიცრუისა“;
6. დავით გურამიშვილი – „ქართლის ჭირი“, „სწავლა მოსწავლეთა“;
7. ალექსანდრე ჭავჭავაძე – „გოგჩა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“, „ვისაც გსურთ“, „სიყვარულო, ძალსა შენსა“;
8. გრიგოლ ორბელიანი – „სადღეგრძელო“, „საღამო გამოსალმებისა“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „პასუხი შვილთა“;
9. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „ვპოვე ტაძარი“, „არ უკიჟინო, სატრფოო“, „ბედი ქართლისა“;
10. ილია ჭავჭავაძე – „ყვარლის მთებს“, „ელეგია“, „პოეტი“, „ჩემო კალამო“, „მას აქეთ, რაკი“, „ქართვლის დედას“, „მესმის, მესმის“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ბაზალეთის ტბა“, „პასუხის პასუხი“, „გუთნის დედა“, „მგზავრის წერილები“, „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“, „განდეგილი“;
11. აკაკი წერეთელი – „განთიადი“, „პოეტი“, „ჩანგური“, „აღმართ-აღმართ“, „ჰალარა“, „გაზაფხული“, „სულიკო“, „თამურა“, „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი, „ჩემი თავგადასავალი“ (I და II თავები);
12. ალექსანდრე ყაზბეგი – „ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“;
13. ვაჟა-ფშაველა – „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „არწივი“, „კაი ყმა“, „მხედართა ძველი სიმღერა“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „სიმღერა“ (არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა), „არაგვს“, „ღამე მთაში“, „მთანი მაღალნი“, „ხმელი წიფელი“, „ია“, „მთის წყარო“;
14. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „სოლომან მორბელაძე“;
15. ნიკო ლორთქიფანიძე – „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმიროთ“;
16. გალაკტიონ ტაბიძე – „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „მზეო თიბათვისა“, „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „უსიყვარულოდ“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
17. ლეო ქიაჩელი – „ჰაკი აძბა“;
18. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
19. გიორგი ლეონიძე – „წიგნი „ქართლის ცხოვრება“, „ღამე ივერიისა“, „ყვრჩალის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება ან იცვლება, სასურველია მანქანა „ნივა“, ერთი ოთახი მთაწმინდაზე, კოტეტიშვილის ქუჩაზე. ოთახის ფართი 12 კვ.მ მაღალჭერიანი ბინა რკინის კარებით და ტელეფონით. ფასი 3000 ლარი ტელ. 22-36-84; 29-08-58

იყიდება ოროთახიანი სტანდარტული პროექტის ბინა, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. ტელეფონით და რკინის კარებით. ფასი 16000 ლარი ტელ. 22-36-84; 29-08-58

იყიდება ქვიშხეთში შინმოუსვლელთა მემორიალიდან 100 მეტრში, ულამაზესი ხედით 2 სართულიანი წითელი აგურით ნაშენი, კაპიტალური სახლი საკუთარი წყალმომარაგებით. საწყისი ფასი 20000 ლარი ტელ. 99-58-48

იყიდება საბურთალოს რ-ნში იყალთოს 42, კერძო სახლი, ეზოთი, ფართი 1300 კვ.მ 4 ოთახი. აქვს გარაჟი, საკუთარი გათბობა, ეზოში არის ერთი პატარა ოთახი, ხეხილით. ფასი 100000 დოლარი ტელ. 38-21-41

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში 35-ე კორპ. 5 სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ფასი შეთანხმებით, ტელ. 35-11-34 მზია

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, ნუცუბიძის III მკ.რაიონში II კვარტლის VII კორპუსში, 9 სართულიანი სახლის VII სართულზე, ლოჯიით. ფასი 15000$ ტელ. 35-11-34 მზია

იყიდება ან იცვლება ოროთახიანი ბინა საბურთალოზე (ყოფ. პარტიზანების), ხეიჩიას 7-ში, ორსართულიან სახლის II სართულზე. ფასი 25000$ ტელ. 38-71-02

იყიდება საკუთარი ბინა საერთო ეზოში მეტრო „ავლაბრის“ პირდაპირ, ლვინის აღმართის თავზე. საცხოვრებელი ფართი 35 კვ.მ წინ გადახურული ლოჯიით. საყურადღებოა, როგორც პერსპექტიული ადგილი, სახლის ასაშენებლად. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-00-97

## ქირავდება

ქირავდება საოფისე ან სასაწყობო ტერიტორია კოსტავას ქუჩაზე ტელევიზიის წინ. ტელ. 39-31-75 დათო, ირინა

ქირავდება 5 ოთახიანი ბინა კერძო სახლის პირველ სართულზე, საწყობად ან წარმოებისათვის გაგარინის მოედანთან. ფასი 200$ ტელ. 37-47-16

## ვასწავლი

შევასწავლი ნებისმიერი ასაკის მსურველებს გიტარაზე დაკვრას. ფასი შეთანხმებით. ტელ.64-76-77 მაიკო

შევასწავლი TOEFL და GMAT-ის განახლებული 1996 წლის პროგრამით ტელ. 36-33-03 (5 სთ-ის შემდეგ)

დაჩქარებული მეთოდით შევასწავლი კოსმეტიკას და მანქანაზე ბეჭდვას. მის. ნაძალადევი, ც.დადიანის 26, ტელ. 66-09-19

ვასწავლი გერმანულს სწრაფი უნიკალური მეთოდით ვთარგმნი და ვბეჭდავ გერმანულ და ინგლისურ ენაზე. ტელ. 98-45-53 მამუკა

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველს ტელ. 64-76-77 მაიკო

## სხვადასხვა

პროფესიონალი მუსიკოსები გაგილამაზებთ სუფრას ქართული სიმღერებით ტელ. 66-92-65 მალხაზი და მერაბი

იყიდება შავი ფერის პიანინო, ფასი 250 ლარი ტელ. 38-71-02

სასწრაფოდ იყიდება „კაპიროვკის“ დასამზადებელი ქაღალდი რულონებში, პირველი ხარისხის „KO-16“ ფასი შეთანხმებით ტელ. 96-69-75

იყიდება სასადილოს და სამზარეულოს ორიგინალური მაგიდები ოთხი სკამით, მასიური მუხა ჰოლანდიური. ფასი 700-დან 1000 დოლარამდე. ტელ. 96-69-75

იყიდება ჰოლანდიური ორიგინალური სხვადასხვა სტილის სამეულები და ორეულები მაგიდებით, მასიური მუხა ნატურალური ტყავით. ფასი 2800-დან 3500 დოლარამდე. ტელ.96-69-75

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის BMW-318, ორკარიანი. 1980 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი 2500 ლარი ტელ. 22-36-84; 29-08-58

იყიდება ავტობუსი „სკანია 111“ 1978 წლის გამოშვება, 47 ადგილიანი, ლუქს სალონით, კარგ მუშა მდგომარეობაში ტელ. 73-65-85; 73-54-56 რამაზი

იყიდება ავტომანქანა BMW-323 6 ცილიანდრიანი, 1985 წლის გამოშვება, ფასი შეთანხმებით ტელ. 99-72-48

## მილოცვები

**თათია ჩხენკელს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარული და ბედნიერება ნუ მოგკლებოდეს



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

*12 მარტი*

პ.ჩაიკოვსკი

„პიკის ქალი“

*დასაწყისი 17.00 საათზე.*

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

*12, 13 მარტი*

აჩეხოვი

„სამი და“

*დასაწყისი 17.00 საათზე*

თეატრი „ძველი სახლი“

*11, 13 მარტი*

ფ.მარსო

„კვერცხი“

*დასაწყისი 18.00 საათზე*


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

მსმენელთა განკარგულებაშია IBM-ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები 80486 პროცესორით, პროგრამული საშუალებები (MS DOS, Norton Commander, Windows, Word Excel და სხვა) და მეთოდური ლიტერატურა.

თქვენ შეისწავლით MS Officce პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში.

**კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს**

*მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე).*

*29-48-61; 29-48-60, 23-53-17 ფაქსი: 29-49-61*

ექსპრეს აუდიტ სერვისი

EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


## რა, როდის და რომელ არხზე

### ორშაბათი, 10 მარტი

**1** 8.00 „ალიონი“. 18.00 „მოამბე“. 18.10 „ორშაბათი მძიმე დღეა“. 18.35 „ექიმის მოსვლამდე“. 18.50 „50/50“. 19.50 „რამპა“. 19.55 რეკლამა, ანონსი. 20.00 „მოამბე“. 20.35 რეკლამა. 20.40 აუდიენცია. 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. 21.05 „დღე“. 21.20 „კასანდრა“. 22.05 „ვესტნიკი“. 22.25 ქართული მხ.ფ. 00.00 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 ინფორმაცია. მეორე არხი; 19.20 მულტფილმები, საყმაწვილო დღიური, სპორტული ესტაფეტა. სახე. 21.30 ინფორმაცია მეორე არხი, რეკლამა. 22.00 მხ.ფილმი „რობინ ჰუდი“. პროგრამის დასასრულს - კულიპ-მიქსი.

**ОРТ** 10.00 მხატვრული ფილმი „მეთორმეტე ღამე“. 11.30 მულტფილმები. 12.00, 17.00, 2.00 ნოვოსტი. 12.15 სანამ ყველა შინაა. 12.50 ვემსახურები რუსეთს! 13,20 დაუკარ, გარმონო! 13.50 პროვინციული ისტორიები. 14.25 მხატვრული ფილმი „დონური მოთხრობა“. 15.55 „კუსტოს გუნდის წყალქვეშა ოდისეა“. 16.55, 23.35, 3.20 გადაცემათა პროგრამა. 17.20 თეატრი + TV. 17,55 მსოფლიო პრემიერა. 18.25 ცხოველთა სამყაროში. 19.00 საფეხბურთო მიმოხილვა. 19.40 ბედნიერი შემთხვევა. 20.35 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.30 გამოიცან, მელოდია. 20.00 სტალინის წინასწარმეტყველება. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ერემია. 23.40 მხატვრული ფილმი „ევიტა: უკანასკნელი ტანგო“ II სერია. 1.30 კალამბური. 2.10 მხატვრული ფილმი „გარმონი“.

**РТР** 10.00 „ფანტაგერო - ოქროს ვარდის გამოქვაბული“. 11.00 ჯანმრთელობა. 11.10 ვაშა, გაზაფხულია! 11.35 მსოფლიო ჩემპიონატი მსუბუქ ათლეტიზმში დახურულ სივრცეში. ტრანსლაცია პარიზიდან. 12.35 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 13.15 საპარლამენტო კვირა. 14.00 დიალოგები ცხოველებზე. 14.30 NBA საუკეთესო მატჩები. 15.25 ანონიმი თანამოსაუბრენი. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.00, 22.00 ვესტი. 16.20 „უიმბლდონელი მომწამვლელი“. 17.15 რომანსიადა - 97. 17.25 უსასრულო მოგზაურობა; 17.55 ბნელი არბატოვასთვის. 18.10 მხატვრული ფილმი „ფარიატების ფანტაზიები“. 20.40 აიაბლოჩკინას სახ.მსახიობთა სახლის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პროგრამა. 22.35 მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ბედნიერი დღეები“. 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 სრულიად საიდუმლოდ 1.10 რეპორტაჟი არაფერზე. 1.30 ტელელატარეა. 1.45 მორიგე ნაწილი. 2.00 ქსიუშასთან. 2.30 მხატვრული ფილმი „სასიკვდილო თამაში, ანუ გარეშე პირი“.

### სამშაბათი, 11 მარტი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე“ 18.10 „მესაკუთრე“; 18.25 მხატვრული ფილმი. 19.40 XXI-ე. 20.00 „მოამბე“. 20.35 რეკლამა. 20.40. აუდიენცია. 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. 21.05 ლატარია „მეათე“. 21.10 პროგრამა „დღე“. 21.20 „კასანდრა“. 22.00 „ვესტნიკი“. 22.25 ასპარეზი. 22.40 TBC. 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი. 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა „გოლი“, „პოდიუმი“, „ეკრანული წყვილები“. 22.00 ინფორმაცია მეორე არხი, რეკლამა. 22.30 მხატვრული ფილმი „მაიერ ლინგის საიდუმლო“. პროგრამის დასასრულს მუსიკა

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20,00, 1,15 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 12.00 სტალინის წინასწარმეტყველება 12.50 სმეხოპანორამა. 13.30 გამოიცან მელოდია. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. 16.35 მულტფილმი. 16.55, 23.40, 2.20 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 ვარიეტე „მხიარული კვამპანია“. 17.55 მულტიტროლია. 18.15 ჯადოსნური სამყარო ანუ სინემა. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.00 სტალინის წინასწარმეტყველება. 22.45 ძილი ნებისა პატარებო! 23.00 ერეემია. 23.45 კინოკომედია „ზეცური ნელმავალი“. 1.25 საესტრადო პროგრამა. 2.10 პრეს-ექსპრესი. 2.25 „კრეკერის მეთოდი“.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი- მარკეტი. 10.20, 3.30 ტელემაღაზია. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ- 11.20, 12.55, 13,15, 3.10 პროდუქცია - ფოსტით. 11.30 ანშლაგი წარმოგიდგენთ. 12.05 „სანტა ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი; 14.05 რუსები. 16.20 მხატვრული ფილმი „ცხვირი“. 18.00 ერთად. 18.25 მანეკენი. 18.30 თქვენი უფლება. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10. ჭეშმარიტების მომენტი. 21.40 რუსები. 22.35 ანშლაგი წარმოგიდგენთ. 23.15 სანტა-ბარბარა. 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 ტელეთეატრი. 2.10 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 2.25 ხმოვანი ბილიკი.

### ოთხშაბათი, 12. მარტი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე“ 18.10 მამული გთავაზობთ. 18.55 „50/50“. 20.00 „მოამბე“. 20.35 რეკლამა. 20.40 აუდიენცია. 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. 21.05 „დღე“. 21.20 „კასანდრა“. 22.05 „ვესტნიკი“. 22.25 პანორამა. 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 ინფორმაცია მეორე არხი. 19.20 მულტფილმები, სიყვარულის ისტორია. 22.00 ინფორმაცია მეორე არხი, რეკლამა. 22.30 ქართული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“. პროგრამის დასასრულს მუსიკა

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20,00, 1,55 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 12.05 სტალინის წინასწარმეტყველება. 12.50 ცხოველთა სამყაროში. 13.30 გამოიცან მელოდია. 14.15 საბავშვო მხატვრული ფილმი „სმოკი და პატარა ბიჭუნა“. I სერია. 15.30 ისტორიის ბორბალი. 16.10 კულტურა და ინტელიგენტურობა. 16,55, 23,40, 2.15 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კაქტუსი და L. 17.55 დო-მი-სოლ. 18.10 ჯუნგლის ძახილი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.00 სტალინის წინასწარმეტყველება. 22.45 ძილი ნებისა პატარებო! 23.00 ერემია. 23.45 მხატვრული ფილმი „ვისაუბროთ ძმაო“. 2.05 პრეს-ექსპრესი. 2.20 „კრეკერის მეთოდი“. 3.15 დიადი ჰიტები.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი- მარკეტი. 10.20, 3.50 ტელემაღაზია. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ- 11.20, 12.55, 13,15, 3.40 პროდუქცია - ფოსტით. 11.30 ქამელეონი. 12.05 „სანტა ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი; 14.05 რუსები. 14.20 ჭეშმარიტების მომენტი. 14.50 ექსპო-ვესტნიკი. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 K-2 წარმოგიდგენთ. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი „ტურბინების დღეები“. I სერია. 17.45 რეპორტიორი. 18.00 ყველა დროის მსახიობი. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 ცხოვრების წესი. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10. ახალი მეხუთე ბორბალი 21.40 რუსები. 22.35 ქამელეონი. 23.10 სანტა-ბარბარა. 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 წყნარი სახლი. 2.10 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 2.25 მღერის იტალია, გადაცემა სან-რემოდან.

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ბ

ბააკაშვილი - 34 (გურჯაანი - 33; დედოფლისწყარო - 1).
ბაბაჯანაშვილი - 29 (თბილისი - 8; ლაგოდეხი - 4; გარდაბანი - 3).
ბაბელაშვილი - 37 (ასპინძა - 25; თბილისი - 5; ახალციხე - 3).
ბაბისაშვილი - 39 (თბილისი - 1; თელავი - 38).
ბაბლომაშვილი - 38 (გურჯაანი - 19; რუსთავი - 1; სიღნაღი - 1).
ბაბოიძე - 34 (თბილისი - 4; საგარეჯო - 4; რუსთავი - 3).
ბაბოშვილი - 25 (ახმეტა - 21; თბილისი - 2; თელავი - 2).
ბაბუაშვილი - 28 (თელავი - 14; მცხეთა - 6; თბილისი - 3).
ბაბულაიძე - 34 (ახმეტა - 16; თელავი - 14; თბილისი - 1).
ბაბუჩაიშვილი - 42 (ბათუმი - 11; ხელვაჩაური - 31).
ბაგალაშვილი - 26 (სიღნაღი - 13; რუსთავი - 4; თბილისი - 4).
ბაგიშვილი - 31 (თბილისი - 24; სამტრედია - 3; რუსთავი - 1).
ბაგრატიშვილი - 41 (თბილისი - 24; გურჯაანი - 7; თელავი - 5).
ბადიაშვილი - 29 (თბილისი - 25; გორი - 2; ახალგორი - 1).
ბადრახიშვილი - 26 (თიანეთი - 19; თბილისი - 3; ახმეტა - 3).
ბაზანაშვილი - 45 (თბილისი - 3; რუსთავი - 3; გურჯაანი - 2).
ბაზარაშვილი - 49 (თბილისი - 27; გარდაბანი - 8; ბათუმი - 4).
ბაზიაშვილი - 27 (ბათუმი - 22; თბილისი - 3; ახმეტა - 1).
ბაზიკოშვილი - 34 (ახმეტა - 28; თბილისი - 3; თელავი - 3).
ბაზლიძე - 28 (თბილისი - 13; კასპი - 6; გორი - 3).
ბაზოშვილი - 28 (გორი - 1; გურჯაანი - 27).
ბათიაშვილი - 26 (თბილისი - 16; სამტრედია - 3; გორი - 1).
ბათლიძე - 24 (თბილისი - 20; კასპი - 2; მცხეთა - 2).
ბათმანიშვილი - 35 (ბათუმი - 20; ახალციხე - 8; გორი - 5).
ბათუმაშვილი - 32 (თბილისი - 32).
ბაიხანაშვილი - 23 (თელავი - 22; ყვარელი - 1).
ბალაბანაშვილი - 27 (თბილისი - 13; ადიგენი - 11; მარნეული - 1).
ბალადაშვილი - 20 (გარდაბანი - 7; თბილისი - 13).
ბალამზარიშვილი - 22 (თბილისი - 18; რუსთავი - 4).
ბალასანიძე - 30 (თბილისი - 9; ბორჯომი - 5; ქუთაისი - 3).
ბალესიაშვილი - 42 (ახმეტა - 30; თბილისი - 7; გურჯაანი - 1).
ბალიშვილი - 40 (გორი - 13; თბილისი - 12; ქუთაისი - 5).
ბალუხაშვილი - 37 (გურჯაანი - 21; რუსთავი - 10; თბილისი - 3).
ბალღიაშვილი - 25 (ახმეტა - 12; დედოფლისწყარო - 1; თელავი - 1).
ბანეთაშვილი - 33 (თბილისი - 29; ქუთაისი - 4).
ბანკანაშვილი - 39 (ქარელი - 19; ახალციხე - 6; რუსთავი - 1).
ბაჟუნაშვილი - 47 (ბათუმი - 6; თბილისი - 5; ლანჩხუთი - 1).
ბარაბიძე - 27 (თბილისი - 10; ქუთაისი - 6; ჩოხატაური - 4).
ბარამიშვილი - 45 (თბილისი - 31; გარდაბანი - 8; რუსთავი - 2).
ბარაშვილი - 25 (ზუგდიდი - 7; თბილისი - 6; გორი - 3).
ბარბლიშვილი - 49 (ადიგენი - 29; თბილისი - 12; ახალციხე - 7).
ბარელიძე - 31 (თბილისი - 13; საჩხერე - 12; რუსთავი - 2).
ბარიაშვილი - 38 (თბილისი - 29; გორი - 4; რუსთავი - 5)
ბარნაბაშვილი - 38 (გურჯაანი - 25; თბილისი - 10; კასპი - 1).
ბარნაველი - 33 (თბილისი - 33).
ბარტყულაშვილი 45 (ბოლნისი - 25; თბილისი - 16; მარნეული - 4).
ბარქაძე - 29 (თბილისი - 13; გორი - 6; კასპი - 4).
ბარძემაშვილი - 48 (თბილისი - 19; ზუგდიდი - 6; სენაკი - 6).
ბარძიმიშვილი - 23 (თბილისი - 6; ზუგდიდი - 1; ყვარელი - 16).
ბარხუდარაშვილი - 32 (თბილისი - 10; ყვარელი - 22).
ბასანიძე - 39 (თბილისი - 24; გორი - 12; რუსთავი - 2).
ბასაძიშვილი - 37 (ახმეტა - 23; თბილისი - 8; თელავი - 1).
ბასილიაშვილი - 20 (ბოლნისი - 20).
ბასკანჩილაძე - 38 (აბაშა - 8; თბილისი - 2; სამტრედია - 28).
ბასლიკაშვილი - 41 (თბილისი - 5; საგარეჯო - 36).
ბასხაჯაური - 31 (ახმეტა - 27; თელავი - 4).
ბატატაშვილი - 34 (გორი - 29; თბილისი - 4; კასპი - 2).
ბაქაური - 20 (თბილისი - 8; დუშეთი - 3; კასპი - 1).
ბაქუზანაშვილი - 47 (თბილისი - 33; თეთრიწყარო - 7; მარნეული - 7).
ბაღათური - 37 (თბილისი - 12; ყვარელი - 5; ხაშური - 3).
ბაღდავანიძე - 37 (ბორჯომი - 29; გორი - 3; თბილისი - 3).
ბაღდაშვილი - 20 (თბილისი - 12; ბათუმი - 4; გორი - 2).
ბაღდუაშვილი - 34 (კასპი - 13; თბილისი - 7; თეთრიწყარო - 5).
ბაღიაური - 37 (ლანჩხუთი - 9; თბილისი - 8; დედოფლისწყარო - 7).
ბაღლავაძე - 21 (თბილისი - 17; ქუთაისი - 1; წყალტუბო - 3).
ბაღუაშვილი - 31 (ახმეტა - 21. თელავი - 8; მცხეთა - 1).
ბაყლიშვილი - 26 (გურჯაანი - 2
თბილისი - 3; სიღნაღი - 1).
ბაჩალიაშვილი - 35 (თბილისი - 17; ლაგოდეხი - 6; გარდაბანი - 4).
ბაჩულაშვილი - 26 (ახმეტა - 17; თბილისი - 9).
ბაცაშვილი - 31 (გურჯაანი - 14; თბილისი - 10; დედოფლისწყარო - 3).
ბაძოშვილი - 24 (ახმეტა - 14; თბილისი - 8; გურჯაანი - 1).
ბაჭველაშვილი - 22 (თბილისი - 4; ყვარელი - 18).
ბახუნტარაძე - 42 (ოზურგეთი - 6; ხელვაჩაური - 3; ხულო - 33).
ბაჯელაშვილი - 35 (თბილისი - 10; გარდაბანი - 9; თელავი - 7).
ბებისაშვილი - 23 (თბილისი - 23).
ბებრიშვილი - 32 (ლაგოდეხი - 12; სიღნაღი - 10; თბილისი - 4).
ბეგიანიშვილი - 28 (თბილისი - 18; გორი - 5; ოზურგეთი - 2).
ბედენეიშვილი - 40 (ოზურგეთი - 27; თბილისი - 3; ქუთაისი - 2).
ბედიანიშვილი - 32 (თბილისი - 28; მესტია - 2; თეთრიწყარო - 1).
ბედმანიკაშვილი - 36 (თელავი - 29; თბილისი - 6; რუსთავი - 1).
ბედუაშვილი - 23 (თბილისი - 8; გარდაბანი - 5; ზესტაფონი - 1).
ბეთანელი - 47 (თბილისი - 33; გურჯაანი - 5; კასპი - 3).
ბეთეშვილი - 36 (გორი - 11; თბილისი - 10; ქარელი - 3).
ბეკარიშვილი - 33 (თეთრიწყარო - 16; თბილისი - 14; ახმეტა - 1).
ბელაძე - 22 (სენაკი - 8; თბილისი - 4; სამტრედია - 3).
ბელეშაძე - 38 (ოზურგეთი - 18; თბილისი - 9; ბათუმი - 6).
ბელიძე - 30 (ხაშური - 5; თბილისი - 3; რუსთავი - 1).
ბენდიანაშვილი - 49 (თბილისი - 33; ონი - 5; ყვარელი - 5).
ბენიაძე - 28 (თბილისი - 13; გარდაბანი - 6; თეთრიწყარო - 5).
ბეჟიკელაშვილი - 39 (ლაგოდეხი - 8; თბილისი - 1; ყვარელი - 30).
ბეჟიკოშვილი - 29 (თბილისი - 4; რუსთავი - 2; თელავი - 1).
ბეჟოშვილი - 23 (თბილისი - 9; რუსთავი - 8; გურჯაანი - 3).
ბეჟღულაშვილი - 23 (გორი - 21; ახმეტა - 1; თბილისი - 1).
ბერანიძე - 29 (გორი - 8; კასპი - 7; თბილისი - 6).
ბერდიაშვილი - 34 (თბილისი - 10; გურჯაანი - 7; ქუთაისი - 3).
ბერებიშვილი - 28 (ოზურგეთი - 5; საგარეჯო - 23).
ბერიკაული - 33 (თბილისი - 14; დედოფლისწყარო - 9; თელავი - 4).
ბერმამუკელი - 26 (თიანეთი - 11; ახმეტა - 10; თბილისი - 3).
ბერნაძე - 23 (ზუგდიდი - 9; თბილისი - 10 გორი - 2).
ბერძულიშვლი - 25 (ზესტაფონი - 9; თბილისი - 5; ლაგოდეხი - 4).
ბესთავაშვილი - 23 (თიანეთი - 8; თბილისი - 7; ახმეტა - 4).
ბესტაშვილი - 22 (გორი - 8; მცხეთა - 5; ბათუმი - 4).
ბექაძე - 36 (ოზურგეთი - 25; გორი - 7; თბილისი - 2).
ბექირიშვილი - 26 (ბათუმი - 19; ხელვაჩაური - 7).
ბექირიძე - 42 (ბათუმი - 2; ქობულეთი - 40).
ბექტურაშვილი - 25 (თბილისი - 12; ახალციხე - 11; ტყიბული - 1).
ბექურაული - 31 (ახმეტა - 20; თბილისი - 4; დუშეთი - 3).
ბექური - 32 (თბილისი - 15; მცხეთა - 13; ასპინძა - 1).
ბეყოშვილი - 46 (დუშეთი - 16; თელავი - 14; რუსთავი - 7).
ბეყურაშვილი - 29 (თელავი - 10; ახმეტა - 3; რუსთავი - 2).
ბეშიტაიშვილი - 30 (ბათუმი - 4; ოზურგეთი - 26).
ბეშიტაშვილი - 24 (ოზურგეთი - 9; ბათუმი - 7; თბილისი - 4).
ბეშკანაძე - 21 (თელავი - 16; გარდაბანი - 1; ბორჯომი - 1).
ბეცეცაშვილი - 31 (თბილისი - 16; გურჯაანი - 1; დედოფლისწყარო -1).
ბეწაშვილი - 30 (გურჯაანი - 1; ოზურგეთი - 1; სიღნაღი - 28).
ბეწუკელი - 29 (ახმეტა - 16; თბილისი - 7; გურჯაანი - 1).
ბეწუნაშვილი - 29 (თიანეთი - 15; თბილისი - 7; თელავი - 4).
ბზუკაშვილი - 29 (თბილისი - 9; დედოფლისწყარო - 6; ლაგოდეხი - 5).
ბიბილაური - 37 (თბილისი - 17; ბათუმი - 6; გარდაბანი - 5).
ბიბილაძე - 33 (თბილისი - 19; საგარეჯო - 13; ქობულეთი - 1).
ბიბიჩიძე - 21 (ვანი - 12; ადიგენი - 1; ქუთაისი - 8).
ბითარაშვილი - 20 (გორი - 6; თბილისი - 4; ყვარელი - 4).
ბიწაძე - 30 (თბილისი - 9; საჩხერე - 7; რუსთავი - 5).
ბირთველაშვილი - 32 (ქარელი - 18; რუსთავი - 5; თბილისი - 4).
ბისეიშვილი - 22 (თბილისი - 17; ლანჩხუთი - 2; თიანეთი - 1).
ბისოშვილი - 40 (ლანჩხუთი - 40).
ბიწოშვილი - 30 (თბილისი - 6; გორი - 5; მცხეთა - 3).
ბიჭვაიძე - 33 (ბათუმი - 31; ზუგდიდი - 2).
ბიჭინაშვილი - 44 (თბილისი - 24; რუსთავი - 10; ბორჯომი - 4).
ბიჭკაიძე - 21 (ბათუმი - 21).
ბობორიძე - 29 (ხონი - 29)
ბობოქაიძე -32 (ახმეტა - 9; თბილისი - 1; თელავი - 22).
ბობოხაძე - 22 (ზუგდიდი - 6; ბათუმი - 3; ქობულეთი - 1).
ბოგიშვილი - 49 (თბილისი - 18; რუსთავი - 18; ქობულეთი - 3).
ბოლათაშვილი - 42 (ქარელი - 18; გორი - 14; თიანეთი - 4).
ბოთერაშვილი - 48 (თბილისი - 22; სამტრედია - 12; სენაკი - 5).
ბორშოიძე - 32 (ახმეტა - 4; თელავი - 28).
ბორჩოშვილი - 22 (ახმეტა - 22).
ბორძიკიძე - 50 (ახმეტა - 41; თბილისი - 1; თელავი - 8);
ბორჯაძე - 33 (თბილისი - 33).
ბოსტაღანაშვილი - 28 (თბილისი - 7; დედოფლისწყარო - 4; მარნეული - 4).
ბოღიშვილი - 50 (ქარელი - 15; თბილისი - 12; სამტრედია - 6).
ბოღლოციშვილი - 21 (გურჯაანი - 13; თბილისი - 4; რუსთავი - 4).
ბოშაშვილი - 25 (ახმეტა - 6; თბილისი - 5; თელავი - 14).
ბოშიშვილი - 40 (გარდაბანი - 27; თბილისი - 12; მცხეთა - 1).
ბოძიაშვილი - 20 (თბილისი - 15; კასპი - 4; ლაგოდეხი - 1).
ბოხოჩაძე - 50 (თბილისი - 23; ზესტაფონი - 20; რუსთავი - 6).
ბოჯგაძე - 26 (თერჯოლა - 14; ბაღდათი - 4; რუსთავი - 3).
ბროლიძე - 34 (თბილისი - 21; აბაშა - 4; ბათუმი - 1).
ბუბალაძე - 44 (თბილისი - 2; ყვარელი - 44).
ბუგიანაშვილი - 37 (თბილისი - 32; გორი - 4; ონი - 1).
ბუხარაშვილი - 32 (თბილისი - 13; საგარეჯო - 5; გარდაბანი - 4).
ბუზუკაშვილი - 38 (თბილისი - 18; ონი - 14; მოსკოვის ლტოლვილი - 2).
ბუთეიშვილი - 22 (სამტრედია - 21; ქობულეთი - 1).
ბულუხაძე - 26 (ზესტაფონი - 17; თბილისი - 5; ბაღდათი - 1).
ბუმბიაშვილი - 27 (თბილისი - 25; მცხეთა - 1; ქუთაისი - 1).
ბუნაშვილი - 27 (თბილისი - 6; დედოფლისწყარო - 4; რუსთავი - 4).
ბუჯგულაშვილი - 24 (გორი - 5; თბილისი - 19).
ბურკვაშვილი - 21 (ახმეტა - 15; დუშეთი - 2; თბილისი - 1).
ბურკვაძე - 23 (ფოთი - 12; ბათუმი - 4; ქუთაისი - 1).
ბურჯაძე - 24 (თბილისი - 10; ქუთაისი - 6; გორი - 4).
ბუსკანაძე - 34 (მარტვილი - 5; თბილისი - 2; თერჯოლა - 1).
ბუტიაშვილი - 37 (რუსთავი - 21; თბილისი - 2; ფოთი - 1).
ბუტურიშვილი - 26 (ვანი - 5; თიანეთი - 5; თბილისი - 1).
ბუქიაშვილი - 37 (ახმეტა - 17; თბილისი - 13; გორი - 6).
ბუქსიანიძე - 20 (ბაღდათი - 15; ზესტაფონი - 2; თბილისი - 2).
ბუქიძე - 34 (ბათუმი - 3; შუახევი - 1; ხელვაჩაური - 30).
ბუღრიძე - 40 (ახმეტა - 40).
ბუჩაიძე - 33 (ახმეტა - 27; თბილისი - 4; თელავი - 1).
ბუჩუაძე - 48 (ქუთაისი - 18; თბილისი - 8; ბაღდათი - 7).
ბუჩხრიკიძე - 46 (საგარეჯო - 10; რუსთავი - 9; გარდაბანი - 4).
ბუცურეიშვილი - 22 (თბილისი - 9; ლანჩხუთი - 6; ბათუმი - 5).
ბუძიაშვილი - 26 (თბილისი - 17; მცხეთა - 6; გორი - 2).
ბუხუნიშვილი - 28 (თბილისი - 22; დუშეთი - 5; მცხეთა - 1).
ბუჭყიაშვილი - 26 (თბილისი - 7; გარდაბანი - 5; სიღნაღი - 14).

## კაიფვორდი



**მდგომიარედ:** 1. „სურით" მოტანილი პროდუქტი; 2. „ჯარის" გადასაყრელი რკინის მაკულატურა; 3. „კერძოდ" შეკვეთილი ულუფა; 5. აშშ-ს მეზობელი ქვეყანა, სადაც „ანას ნადირები" თარეშობენ; 6. უსპენსკაიას სასურველი მანქანა; 8. „ია ვარდებით" მოფენილი მოტოციკლეტი; 14. „გენებიანი" სხივების მსროლელი დანადგარი; 16. ხილი, რომელიც ნამდვილად „მანდ არის"; 17. ჯურღაის „მეოთხე მუსიკალურ ნოტიანი" საბრძოლო იარაღი; 19. „არგო ნავით" მოსეირნე ტიპი; 20. „გარის" ჩოთქზე გამოსათელელი; 21. მილის „კალიანი" დიამეტრი; 22. ნივთი, რომელიც სიყვარულის გულებს აკავშირებს (სიმღ.); 29. „ვიზით" სტუმრობა; 30. „დასაქსევი" ტელეფონი; 32. ცხოველი, რომელიც არ იციან „რაში გამოიყენონ"; 33. აშშ-ს ჯარი, რომელსაც „ქართველი ქალი უდგას სათავეში"; 34. „შენ", როგორც ქისაში ჩასაგდები ეროვნების კაცი (რუს.კავშ.); 36. „აბრაგის" დაფა; 38. „ვაიმარში მარის პირიდან ამოძახილი".

**მიწოლილად:** 4. მხატვარი „გრაფის" ხელნაწერი; 7. „გაბუქული" ქალაქი ევროპაში; 9. ზონაში „განაბული" ქურდი; 10. ის, რაც ხშირად ვარდება საქენერგოში; 11. „ფუტკრების ბაითში" დასაჯდომი; 12. „ჩინური" პიცის მატარებელი ფირმა; 13. „ყველის" მჭამელი აქლემი (რუს.კავშ.); 17. „ტულით" მოკლული ცხოველის ძეგლი; 18. „ბალში დადგმული ნარი"; 21. „კოტეს" სახლი აგარაკზე; 23. „დენდარტყმული" კომპიუტერი; 24. კომაში ჩავარდნილი „ეს" ვარსკვლავი (რუს.კავ.); 25. „აფრიალებული" ხუთიანი; 26. ხილი, რომელიც სულ „კივის და წივის". 27. „ავი" გემი; 28. „კვარის საწინააღმდეგოდ" მბრწყინავი ნივთი; 31. დათვის „ორი თათი"; 35. „იმ ფაქტით დაფიქსირებული" შეტევა; 37. აშშ-ს „შტატში ტივზე" დამაგრებული სამაგრი; 39. „კიბოს" მსგავსი ვან-დამი (ფილმ.).

კობა ბაიდოშვილი


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მოწ. №06/4-444